უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

27/09/2024

MES 3 24 0001221637

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი, 13/09/2024

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 13 სექტემბერს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;**
2. **დავით ლეშკაშელი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პრფესორი;
4. **მიხეილ გურგენიძე** - შპს "ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში" ასისტენტ-პროფესორი.
5. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
6. **სერგო ჭელიძე** - შპს "საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუს" პროფესორი;
7. **ქრისტინა რზგოევა** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
8. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლეევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
9. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;

11. **ნათია ზედეგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
12. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. **ემილ ავდალიანი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" პროფესორი;
14. **სალომე კუჭუხიძე** - შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;
15. **თამარ იოსელიანი** - შპს "ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრები:

1. გია ლობჟანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;

2. კახაბერ ჩიხრაძე - შპს "ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის" სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელი;

3. ჯილდა ჭეიშვილი - საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის საბჭოს წევრი;

4. მაია ბიწკინაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;

5. ეკა ბოჭორიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამების რევიზიის სამმართველოს უფროსი;

6. ნინო გაგუა - შპს "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის" სტუდენტი;

7. ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

8. დავით თოთაძე - შპს "ჯეო ჰოსპიტალსის" - თბილისის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის გენერალური დირექტორი;

9. ზვიად კირტავა - შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" პროფესორი;

10. ივანე ჩხაიძე - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

11. ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;

12. ნათია სხვიტარიძე - სსიპ - ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:

1. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ნიკოლოზ ფარჯანაძე;
2. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე - ქეთევან ინანაშვილი;
3. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი - ლალი ოდიშვილი;
4. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - ნინო შეყილაძე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი:

1. **მამუკა თავხელიძე** - რექტორი;
2. **გიორგი მირიანაშვილი** - რექტორის მოადგილე სტუდენტთა მხარდაჭერისა და სწავლა-სწავლების საკითხებში; საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი;
3. **გულნაზი გალდავა** - რექტორის მოადგილე იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხებში; სამართლის სკოლის დეკანი;
4. **ვახტანგ ჭარია** - რექტორის მოადგილე სამეცნიერო კვლევით საკითხებში, ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი;
5. **მოგელი შენგელია** - რექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში;
6. **ამირან მესხიშვილი** - რექტორის მოადგილე რეგიონულ საკითხებში, უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი;
7. **გუგული თურმანიძე** - ბათუმის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის საკითხებში;
8. **ნინო შოშიტაშვილი** - ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;
9. **ანა თეგეთაშვილი** - მედიცინის სკოლის დეკანი;
10. **ნიკოლზ ნაჭყებია** - სტუდენტური ომბუცმენი;
11. **ბექა კობერიძე** - სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე.

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი:

1. თეიმურაზ ქორიძე - რექტორი;
2. **თეიმურაზ სართანია** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. **გიორგი სართანია** - იურიდიული სამსახურის უფროსი;
4. **სოფო ჩქოფოია** - საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების ცენტრის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ჟანეტა კილასონია** - ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ემილია ალავერდოვი** - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურის უფროსი;
7. **ხათუნა ჩარკვიანი** - ასოცირებული როფესორი;
8. **მარინე ლომიძე** - ასოცირებული პროფესორი;
9. **ლაშა ჩახვაძე** - ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

ამარკ სტეფენ დევისი (Mark Stephen Davies) I საკითხი;
მიჰაი ბოროში (Mihaly Boros) I საკითხი;
ქეთევან აფთარაშვილი I საკითხი;
ია ფანცულაია I, II საკითხი;
ნინო ფარსადანიშვილი I საკითხი;
ნინო ბოგვერაძე I საკითხი;
გიორგი ფარეშიშვილი I საკითხი;
ანკუტა დიანა პრისაკარიუ (Ancuta Diana Prisacariu) II საკითხი;
კეროლ სიბილ ჰოდგსონ ბირკმენი (Carol Sybil Hodgson Birkman) II საკითხი;
ელენე გიგინეიშვილი II საკითხი;
თამთა ცხოვრებაძე II საკითხი;
გიორგი მახარობლიშვილი II საკითხი;
სოსო გაზდელიანი II საკითხი.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზურაბ ორჯონიკიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების, მათ შორის საბჭოს მოწვეული წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

- **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭო სწევრ(ებ)ის თვითაცილება;

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომი სთავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინა მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ თუ კი საბჭოს წევრები გაცნობილები იყვნენ დასკვნას, ამ შემთხვევაში მას დასამატებელი არაფერი ჰქონდა და გამოთქვა მზაობა, კითხვების არსებობის შემთხვევაში ეპასუხა მათზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხდა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისათვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციების უმრავლესობას, ხოლო რაც შეეხება რეკომენდაციების გარკვეულ ნაწილს დაწესებულებას ჰქონდა არგუმენტირებული პოზიცია. პირველი რეკომენდაცია ,,საკვანძო თანამდებობის პირებმა უკეთ უნდა გაიაზრონ თუ როგორ უკავშირდება მათი ფუნქცია უნივერსიტეტის მისიას'' დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკვანძო თანამდებობის პირები და არამხოლოდ ისინი, ჩართულები იყვნენ მისიის ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში. შესაბამისად, შეუძლებლად მიაჩნიათ, რომ მათ არ ჰქონდეთ გააზრებული უნივერსიტეტის მისია. შესაბამისად რექტორმა აღნიშნა, რომ ვერანაირ კომენტარს გააკეთებდა გარდა გაკვირვებისა.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მეორე რეკომენდაცია მიუთითებდა, რომ სტრატეგიული განვითარების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ მიგნებაზე რეაგირება

უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძალიან დიდი მასალა გადასცეს მათ ექსპერტთა ჯგუფს, დაწესებულებაში არსებობდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც სისტემატიურად ატარებდა მონიტორინგს, იმ გეგმის მიხედვით, რომელიც შემუშავებული აქვთ და რომელსაც ჰქვია ,,საგზაო რუკა''. შესაბამისად, ამ დოკუმენტში იყო მითითებული აქტივობა, ასევე ის თუ როდის და რა მეთოდით უნდა მოხდეს მისი მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგები იხილება აკადემიური კომიტეტზე, რომელიც მსჯელობს შემდეგომ აღნიშნული შედეგების და მიზეზების ირგვლივ. ხოლო, თუკი აკადემიური საბჭო ჩათვლის საჭიროდ, რომ ესა თუ ის აქტივობა გადატანილ იქნას სხვა პერიოდისათვის გადადის სხვა დროისთვის, თუ კი არა იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ხოლო, როდესაც საანგარიშო პერიოდი მთავრდება, კეთდება სტრატეგიული გეგმის შეფასება, შესაბამისი მეთოდოლოგიით, ხოლო შემდეგ ისევ სტრატეგიული გეგმის შემმუშვებელი ჯგუფი იხილავს შეუსრულებელი გეგმების საკითხებს და თუკი ჩათვლიან, რომ უნდა გადავიდეს ახალ სტრატეგიულ გეგმაში, მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული არის მუშა პროცესი, რომელიც ციკლური ხასიათისაა და ასევე აღნიშნა, რომ არცერთი საკითხი არ რჩება რეაგირების გარეშე.

მესამე რეკომენდაცია ,,გაიზარდოს ძალისხმევა რათა ყველა დაინტერესებეული მხარე სრულად იყოს ჩართული და ინფორმირებული სტრატეგიული გეგმის პროცესში'' დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2020 წლიდან დაიწყო უნივერსიტეტმა თვითშეფასებაზე მუშაობა. შეიქმნა სპეციალური კომისია, სტრატეგიული გეგმის შემუშვების, რომელშიც ჩართულები არიან სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია, დამსაქმებლები. შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლისთვის გაუგებარია ექსპერტთა პრეტენზია ამ საკითხზე.

შემდეგი რეკომენდაცია - ,,რეკომენდირებულია კომუნიკაცია და გამჭირვალობა სტუდეტების აკადემიური კომიტეტის წევრად დანიშვნის პროცედურებთან დაკავშირებით გაუმჯობესდეს'', დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რაკი ამგვარი რეკომენდაცია იქნა გაცემული დაწესებულება გააძლიერებს ამ კუთხით მუშაობას.

შემდეგი რეკომენდაცია - ,,რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იქნას სტუდენტთა თვითმმართველობის ავტონომია'', დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაცემულ რეკომენდაციას არ იზიარებს დაწესებულება, რადგან, აღნიშნავს, რომ თუკი სადმე არსებობს ავტონომია ეს არის სწორედ მათ უნივერსიტეტში, ასევე აღნიშნა, რომ სხდომას ესწრებოდა სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი და საბჭოს მიერ კითხვების არსებობის შემთხვევაში პასუხებს გასცემდა რეკომენდაციის შესახებ არსებულ კითხვებზე.

შემდეგი რეკომენდაცია - ,,სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვისას მოხდეს ყოვლისმომცველი მონაცემების შეგროვება და ეფექტურად გამოყენება'', დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ არის დაწესებულებაში ,,საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი'', რომელშიც პირდაპირ წერია, სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, სადაც აღნიშნულია, რომ მეთოდოლოგია გულისხმობს აუდიტორიების გამტარუნარიანობას, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობის თანაფარდობას და ასევე, დაწესებულებაში არსებობს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის ინდიკატორები'. ეს ინდიკატორებია - უნივერსიტეტის მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა, ბაზრის კვლევის შედეგები, რომელშიც იგულისხმებოდა სწორედ ის, რასაც ექსპერტები გაცემულ რეკომენდაციაში ითხოვდნენ. შესაბამისად, კონტიგენტის დაგეგმვა ხდება ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, კერძოდ სტუდენტთა ასაკი, სქესი, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობა, სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა, სტუდენტების ჩარიცხვის, გადინებისა და კურსდამთავრებულთა დინამიკა. შესაბამისად, რასაც ითხოვდნენ ექსპერტები დოკუმენტურად იყო გაწერილი.

დაწესებულების წარმოამდეგენელმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია პლაგიატთან დაკავშირებით ამოღებულია საბოლოო დასკვნიდან, რაზედაც მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, რომ მათ გაითვალისწინეს დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი.

შემდეგი რეკომენდაცია - ,,რეკომენდირებულია რომ უნივერსიტეტის მიერ მიღებული ყველა სტატისტიკური მონაცემი სტუდენტთა შესახებ გაანალიზდეს სხვადასხვა ფაქტორის მიხედვით, როგორიცაა, სტუდენტის სქესი, პროგრამა, სწავლის ადგილმდებარეობა და ა.შ.'', აღინიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმაომდგენელმა, აღნიშნა, რომ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით კვლევებში იყო გათვალისიწინებული სტუდენტთა მონაცემები, ასევე, პროგრამის განხორციელების ლოკაცია. შესაბამისად, საავტორიზაციო მასალებში არსებული მონაცემების მიხედვით თვალსაჩინო იყო, რომ გამოკითხული იყო, როგორც ბათუმის წარმომადგენლობის ასევე, თბილისის წარმომადგენლობის სტუდენტები. თუმცა, თუ ექსპერტების შეფასება ეხებოდა უშუალოდ სასწავლო კურსების, მათი რესურსების, ლექტორების შეფასებას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველსემესტრულად ატარებდა ამგვარ გამოკითხვებს და შესაბამისი მასალებიც ასახული იყო ანგარიშებში და შესაბამისი მასალები დართული დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულება აკეთებდა ერთ წლიან გაერთიანებულ გამოკითხვას, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას რომ ყოველსემესტრულად, როგორც ბათუმის ასევე თბილისის წარმომადგენლობის სტუდენტები არ გამოიკითხებიან სათანადო ინდიკატორების გათვალისწინებით.

შემდეგი რეკომენდაცია - ,,რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შედეგები და სამომავლო გეგმების გაცნობა გარე დაინტერესებული მხარეებისათვის, როგორიცაა მარეგულირებელი ორგანოები, ჯანდაცვის დაწესებულებები, სამეცნიერო საზოგადოებები, კვლევითი ინსტიტუტები, კურსდამთავრებულები, ფარმაცევტული და სხვა ინდუსტრიული კომპანიები'', დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებობს კომიტეტი, რომელიც მუშაობს პროგრამის ფორმირებაზე, რომელშიც შედიოდნენ პროგრამის წამყვანი პერსონალი და სტუდენტები, ასევე, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ,,კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტი'', რომელშიც გაერთიანებულები არიან ის პერსონები, რომლებიც გაცემულ რეკომენდაციაში არიან ჩამოთვლილები. მაგალითად, მედიცინის პროგრამის შემთხვევაში არიან სხვადასხვა კლინიკის ხელმძღვანელებიდან, ასევე პოლიკლინიკებიდან წარმომადგენლები და ა.შ.. შესაბამისად, მისი თქმით, არათუ ინფორმირებულები არიან დაწესებულების მიერ რეკომენდაციაში განსაზღვრული პირები, არამედ თავად არიან ჩართულები საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და მისი შედეგების, მიზნების განსაზღვრაში. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ ამ პროცესებში ჩართულები არიან მხოლოდ იმ კლინიკის წარმომადგენლები, რომელთანაც უნივერსიტეტს აქვს თანამშრომლობა. შესაბამისად მიიჩნევდა, რომ ამგავრი რეკომენდაცია არ უნდა ყოფილიყო გაცემული დაწესებულების მიმართ.

შემდეგი რეკომენდაცია - ,,სასურველია გადაიხედოს მედიცინის პროგრამისა და კურსების სწავლის შედეგები ისე რომ ისინი ასახავდეს სწავლის შედეგების მიზნობრივ ხასიათს", დაწესებულების წარმოადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულმა პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის მიმართ ერთი შენიშვნა, არათუ რეკომენდაცია არ იყო დაწერილი, ამის შემდეგ განხორციელებულ იქნა მონიტორინგი და განხილულ იქნა რიგი საკითხები მათ შორის ,,OSCE" გამოცდასთან დაკავშირებული თემები. შესაბამისად დაწესებულება აღნიშნავდა, რომ ყველა ის საკითხი, რომელიც მონიტორინგის შეეგად იქნა გამოვლენილი, დაწესებულების მიერ იქნა დაკმაყოფილებული, შესაბამისად აკრედიტაციის საბჭომ მიიღო ცნობად წარდგენილი ანგრიში და შეწყდა მონიტორინგის წარმოება. ამდენად, გაუგებარია რას გულისხმობდნენ ექსპერტები გაცემულ რეკომენდაციაში, თუმცა მიუხედავად ამისა, დაწესებულება რეკომენდაციის შესრულების ნაწილში კიდევ ერთხელ გადახედავს და თუ კი რაიმე დასაზუსტებელი იქნა აუცილებლად დაზუსტდება მათ მიერ.

შემდეგი რეკომენდაცია - ,,რეკომენდებულია სწავლის შედეგების შესახებ ეფექტური ინფორმირებულობა სტუდენტების'', აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთელი სისტემა აქვს დაწესებულებას შექმნილი, ის გულისხმობს, რომ მათ აქვთ კატალოგი, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვრდზე, ასევე ვებ-გვერდზე მოცემულია თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა. ამასთან, დაწესებულებაში ფუნქციონირებს ,,დეკანის საათი'', რომელიც თვეში ერთხელ ტარდება და გულისხმობს, ყველა სკოლაში აქტუალური საკითხების განხილვას, პირველ რიგში პროგამის შესახებ, როგორიცაა სწავლის მიზნები, შედეგების, სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და ა.შ. შესაბამისად, დაწესებულებისათვის გაუგებარია თუ რატომ დარჩათ ექსპერტებს ამგვარი შთაბეჭდილება აღნიშნულ საკითხზე.
საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ისურვა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თანათავმჯდომარემ, საერთაშრისო ექსპერტმა და მან განაცხადა, რომ ვინაიდან ისინი ორი საათიდან არიან შეხვედრაზე და დაწესებულების წარმომადგენელი აფიქსირებს არსებული ფაქტებს, ამიტომ თხოვნა ჰქონდა საბჭოს წინაშე, თუკი, რაიმე პირდაპირი კითხვა არსებობდა უშუალოდ დაკავშირებული მათ მიმართონ და არ მოხდეს იმ საკითხების ხელახლა გავლა, რაც ისედაც არის ასახული არგუმენტირებულ პოზიციას თუ დასკვნაში. აღნიშნულ წინადადებას და დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე ზურაბ ორჯონიკიძე და ასევე დაწესებუელბის წარმომადგენელიც.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები

საბჭოს წევრ სერგო ჭელიძეს კითხვა ჰქონდა ექსპერეტბის მიმართ მეთერთმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სწავლის შედეგების უფრო ეფექტურად გაცნობას სტუდენტებისათვის, ასევე მან აღნიშნა, რომ როგორც ირკვევა, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე კატალოგი, ასევე სტუდენტებს შეუძლიათ გადმოწერონ სილაბუსები, გაეცნონ მას შესაბამისად, საბჭოს წევრს აინტერესებდა, რა გახდა გაცემული რეკომენდაციის საფუძელი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომარემ აღნიშნა, რომ ამის შესახებ მათ ინტერვიურებისას უთხრეს სტუდენტებმა. მისი თქმით, საქმე იმაში არ იყო, რომ ინფორმაციის მიწოდება არ ხდებოდა, ნამდვილად ხდებოდა სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება, კურსის ან სესიის დასაწყისში იყო შეხვედრა, როდესაც სტუდენტს უხსნიდნენ თუ რა არის სწავლის შედეგები, მაგრამ პრობლემა იმაში იყო, რომ სტუდენტებს არ ესმით სასწავლო შედეგების არსი, ზოგიერთი მათგანი ამას უკავშირებს შეფასებას, ქულას, ზოგიერთი კი შეფასების კრიტერიუმებს, განაცახდა ექსპერტმა.
საბჭოს მოწვეულ წევრ ჯილდა ჭეიშვილს რამდენიმე კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, კონკრეტულად დიპლომირებული მედიკოსის პროგრამასთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნა, რომ ითვალისიწინებს იმ ფაქტს, რომ ეს არის ავტორიზაციის პროცესი და არა აკრედიტაციის. მან აღნიშნა, რომ მიღების წინაპირობა პროგრამაში განსაზღვრულია ინგლისური ენის B1 დონე, აქ საუბარია ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე როდესაც ხდება სტუდენტების მიღება, მან ასევე აღნიშნა, რომ იგი გაეცნო ყველა დოკუმენტს, და ვერ იპოვა, თუ სად ჰქონდა დაწესებულებას გაწერილი, B1 დონეზე როდესაც მიიღებს სტუდენტეს, ეს სტუდენტი იგივე დონეზე ამთავრებს უცხო ენას, თუ მას პროგრამის დასრულებისას ექნება უცხო ენის ცოდნი უფრო მაღალი დონე.
დაწესებულების წარმოამდგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გაცემულ იქნა რეკომენდაცია, რომ არ იყო მითითებული პროგრამაში B1 დონე, რომელსაც ეთანხმება დაწესებულება და იქნება ჩაწერილი და გათვალისწინებული ეს საკითხიც დაწესებულების მიერ. ხოლო, რაც შეეხება საბჭოს წევრი შეკითხვას, მიღებისას წინაპირობასთან დაკავშირებით, აღნიშნა დაწესებულების წარმაომდგენელმა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ერთ-ერთ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა რომელიც ახორციელებდა უცხო ენაში ტესტირებას, საიდანაც გამოჩნდებოდა სტუდენტების ინგლისური ენის ფლობის დონე, მაგრამ შემდეგ როდესაც ჩაირიცხებიან სტუდენტები, დაწესებულებაში, მას ჩართული აქვს პროგრამაში

ინგლისური ენა, B2 და ვისაც აქვს შესაძლებლობა მათთვის განსაზღვრულია C1 დონეზე სწავლებაც კი. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაზე ქართული ენა ისწავლება იმ სტანდარტით, რასაც განსაზღვრავს მედიხინის დაგობრივი დოკუმენტი.
საბჭოს წევრმა ჯილდა ჭიშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ ინგლისური ენის სწავლება დაწესებულებაში განსაზღვრულია ქართულენოვანი სტუდენტებისათის, მაშინ როდესაც ქართული ენა ისწავლება უცხოელი სტუდენტებისათვის. შესაბამისად, გამოდის, რომ ქართველი სტუდენტების ინგლისური ენის სწავლების დონე მიიღწევა B2 დონემდე, ხოლო უცხოელი სტუდენტები მიიღებიან B1-ით და ამ დონითვე ამთავრებენ პროგრამას. შესაბამისად, დაწესებულებას სთხოვა, ამ საკითხის დაზუსტება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქართული ენა ისწავლება სავალდებულო წესით, ხოლო ინგლისური ენის სწავლება არის არჩევითი, რადგან თუ კი დაწესებულება იღებს მოცემულობად რომ B1 დონე საკმარისია პროგრამაზე დაშვებისთვის და იგი მიღების დროს დადასტურდება სტუდენტის მიერ, შესაბამისად, დაწესებულებას მიაჩნია რომ სტუდენტი ფლობს საჭირო ცოდნას ამ კუთხით და აღარ საჭიროებს უცხო ენის გაღრმავებას.
სხდომის თავმჯდომარეს ზურაბ ორჯონიკიძეს კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან, მას აინტერესებდა თუ როგორი იყო უნივერსიტეტის მიდგომა იმ სტუდენტებთან დაკავშირებით, რომელთაც საშუალო განათლება მიღებული ჰქონდათ ინგლისურ ენაზე. რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშანა, რომ მაგალითად, დოქტორანტურაში, თუ კი სტუდენტს უმაღლესი განათლების რომელიმე წინა საფეხური დამთავრებული აქვს ინგლისურად, ასეთი სტუდენტის მიმართ აღარ იყო მოთხოვნა სერტიფიკატის წარმოდგენის ან ინგლისური ენის კომპეტენციის განსაზღვრის გამოცდას ჩაბარების თაობაზე. მაგრამ, რაც შეეხება სტუდენტის მიღებას მედიცინის პროგრამაზე, მათ უტარდებოდათ ინგლისური ენაში ტესტირება, დამოუკიდებელი ორგანიზაციის მიერ, რომელთანაც თანამშროლობს უნივერსიტეტი და მხოლოდ ამ გამოცდის შედეგად განისაზღვრებოდა სტუდენტის მიერ ინგლისური ენის ცოდნის დონე.
საბჭოს წევრ სალომე კუჭუხიძეს კითხვა ჰქონდა მეთხუთმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებთ დაწესებულებასთან - ,,რეკომენდებულია გადაიხედოს აფილირებული პროფესორის სახელფასო პოლიტიკა'', მას აღნიშულთან დაკავშირებით აინტერესებდა, ინსტიტუციაში არსებობდა ასეთი პოლიტიკა და ექსპერტემა მიიჩნიეს, რომ იგი საჭიროებდა გადახედვას, თუ ამგვარი პოლიტიკა უნივერსიტეტში არა არსებობდა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ასევე არგუმენტირებულ პასუხში ასახული აქვთ, რომ მათ აქვთ სხვადასხვა სახის გამოკითხვები, მათ შორის პერსონალის გამოკითხვა და ერთ-ერთი ბოლო გამკითხვის დროს მითითებულია, რომ დაახლოებით 20% ითხოვდა ხელფასებთან დაკავშირებით საკითხის გადახედვას. ასევე, აღნიშნა, რომ მათ წინა ავტორიზაციის პროცესში ჰქონდათ სტრატეგიულ გეგმაში, რომ უნდოდათ ფიქსირებულ ხელფასზე გადაეყვანათ და არა სათობრივ ანაღაურება ჰქონოდა აფილირებულ პერსონალს. შესაბამისად, ნელ-ნელა ხორციედებოდა ეს პროცესი და ახალ სტრატეგიულ გეგემაშიც იყო გათვალსიწინებული აღნიშნული აქტივობა. ასევე, არგუმენტირებულ პასუხში გასაუმჯობესებელ მხარეებშიც ჰქონდა დაწესებულებას აღნინული ეს საკითხი. შესაბამისად, იგეგმებოდა ახალი პოლიტიკის ჩამოყალიბება ამ მიმართულებით და აღნიშნულ პოლიტიკას აუცილებლად გააცნობდნენ პერსონალს და მათთან შეთანხმებით მოხდებოდა ამ საკითხის გადაწყვეტა. დაწესებულების წარმაომდგენელმა დამატებით განაცხადა, რომ არგუმენტირებულ პასუხში აღნიშნულია, რომ გარდა ანაზღაურებისა, ამავე დროს დაწესებულებას აქვს წამახალისებელი ღონისძიებები , მაგალითად - წლის საუკეთესო კვლევა, წლის საუკეთესო ლექტორი, წლის საუკეთესო პროფესორი, რომელსაც თანხობრივად გადაეცემათ ერთჯერადი პრემიები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან მათ ეს საკითხი თავადვე ჰქონდათ დაფიქსირებული თვითშეფასებაში, მიაჩნიათ, რომ რეკომენდაციაში აღარ უნდა ყოფილიყო ასახული. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას კარგი კომენტარი ჰქონდა გაკეთებული ამ საკითხზე, სწორედ ამიტომ ჩაისვა რეკომენდაციაში

აღნიშნული საკითხი. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ რადგან მათ აქვთ ამ მიმართულებით დაწყებული მუშაობა მიაჩნიათ, რომ რეკომენდაციაში ექსპერეტებს არ უნდა აესახათ მოცემული საკითხი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშა, რომ რადგან მტკიცებულება იმისა, რომ განსახილველი საკითხის მოგვარდებოდა არ არსებობდა ექსპერტებმა დაინახეს სისუსტეები, და შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია, თუმცა დაწესებულების იმედისმომცემი პოზიცია იძლეოდა საფუძველს, რომ მარტივად გამოსწორდეს მათ მიერ ეს საკითხი.
ასევე, დაწესებულების წარმომადგენელს დაზუსტების მიზნით აინტერესებდა, ერთ-ერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით განსაზღვრული იყო, რომ ყველა კლინიკურ დისციპლინაში უნდა იყოს (OSCE). დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გათვალისწინებული ჰქონდათ მათ ეს ყველა კლინიკურ დისციპლინაში, შესაბამისად გაუგებარი იყო რას გულისხმობდნენ ექსპერტები. ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მიეწოდათ არ ჩანდა ნათლად, რომ OSCE იყო ყველა საგანში, თუკი, არსებობდა ამის მტკიცებულება მოწოდება უნდა მომხდარიყო ვიზიტის პერიოდში და არა - ვიზიტის დასრულების შემდგომ. შესაბამისად, მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ვერ დაინახა ექსპერტთა ჯგუფმა ყველა კლინიკურ დისციპლინაში OSCE-ის გამოყენება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:00 სთ.
დასრულების დრო: 15:20 სთ.
საავტორიზაციო განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ ცენტრისათვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 4200-ით, მათ შორის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე 450-ით განსაზღვრის და უნივერსიტეტის მიერ 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 2 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, 32^7 მუხლის პირველი პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხ ლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს (ს/კ: 200002120) მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 4 200-ით, მათ შორის

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე - 450-ით.
აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის 2024 წლის 13 სექტემბერს.
საბჭომ რჩევებში გადაიტანა შემდეგი რეკომენდაცია: ,,რეკომენდებულია, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების (OSCE) გამოყენება კლინიკურად შესაბამისი კომპეტენციების შესაფასებლად, პრაქტიკული კლინიკური მომზადების სტანდარტების გამოსაკვეთად.“

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია ძირითადი თანამდებობის პირები მეტად იყვნენ ინფორმირებული იმის შესახებ, როგორ უკავშირდება მათი ფუნქციები უნივერსიტეტის მისიას.
2. რეკომენდებულია, რომ სტრატეგიული პროგრესის მონიტორინგის შედეგებს გარკვეული ქმედებები მოჰყვეს.
3. უნდა გაძლიერდეს სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის სრული ჩართულობა და ინფორმირებულობა.
4. რეკომენდებულია გაუმჯობესდეს კომუნიკაცია და გამჭვირვალობა აკადემიურ კომიტეტში სტუდენტური წარმომადგენლობის დანიშვნის პროცედურებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტი ადეკვატურად ინფორმირებულია მათი უფლებამოსილებისა და მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ.
5. რეკომენდებულია სტუდენტური თვითმმართველობის სრული ავტონომიის უზრუნველყოფა.
6. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმარებისას რეკომენდებულია სრულყოფილი მონაცემების დამუშავება და ეფექტური გამოყენება.
7. რეკომენდებულია უნივერსიტეტის მიერ დამუშავებული სტუდენტებთან დაკავშირებული ყველა სტატისტიკური მონაცემის ანალიზი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორიცაა სტუდენტის სქესი, პროგრამა და სწავლების ლოკაცია.
8. რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამების შედეგებისა და სამომავლო გეგმების გაცნობა გარე დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორიცაა მარეგულირებელი ორგანოები, ჯანდაცვის დაწესებულებები, სამეცნიერო საზოგადოებები, კვლევითი ინსტიტუტები, კურსდამთავრებულები, ფარმაცევტული და სხვა ინდუსტრიული კომპანიები.
9. რეკომენდებულია მედიცინის პროგრამისა და კურსების სწავლის შედეგების რევიზია იმგვარად, რომ ისინი ასახავდეს სწავლის შედეგების მიზნობრივ ხასიათს და წარმოადგენდეს შეფასებად ერთეულებს.
10. რეკომენდებულია სტუდენტების ეფექტური ინფორმირება სწავლის შედეგების შესახებ.
11. რეკომენდებულია ცხოველებზე კვლევების წარმოება კონკრეტული რეგულაციებისა და "სამი R- ის პრინციპის" (Replacement, Reduction, Refinement) დაცვით კვლევისა და ტესტირების პროცესში (დირექტივა 2010/63/EU ადგენს ზომებს სამეცნიერო ან საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენებული ცხოველების დასაცავად); გრუნი- ს რეგულაციები და ეთიკის კოდექსი უნდა შეესაბამებოდეს ამ პრინციპებს.
12. რეკომენდებულია ნორმაზე დაფუძნებული შეფასების სისტემის გაუქმება და მხოლოდ კრიტერიუმზე დაფუძნებული შეფასების იმპლემენტაცია, რათა ინდივიდუალური სტუდენტის ქულები მხოლოდ მის მოსწრებაზე იყოს დამოკიდებული.
13. რეკომენდებულია საუნივერსიტეტო დონეზე სწავლისა და სწავლების სავალდებულო სასწავლო კურსის შემუშავება და დანერგვა ყველა ახალი პედაგოგიური პერსონალისთვის.
14. რეკომენდებულია გადაიხედოს აფილირებული პერსონალის სახელფასო პოლიტიკა.
15. რეკომენდებულია ადაპტაციის პერიოდის ჩანაცვლება საცდელი (ან მსგავსი) პერიოდით და მკაფიო და გამჭვირვალე კრიტერიუმების განსაზღვრა საბოლოო დასაქმებისთვის.

16. რეკომენდებულია მონიტორინგის სისტემის დანერგვა, რომელიც გამოავლენს ინდივიდუალურ და სისტემურ საკითხებს, აცნობებს მათ შესახებ სტუდენტთა ომბუდსმენის ოფისს და გამოიყენებს რეგულარულ აუდიტს სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოებთან.
17. რეკომენდებულია საერთაშორისო სტუდენტების მონაწილეობის გაძლიერება სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებში, კერძოდ სტუდენტურ თვითმმართველობაში.
18. რეკომენდებულია ბათუმში მდებარე შენობაში ყველა საკლასო ოთახის აღჭურვა თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიებით.
19. რეკომენდებულია ყველა სასწავლო და სოციალური სივრცის სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ინდივიდისთვის, მიუხედავად მათი ფიზიკური შესაძლებლობებისა.

მეორე საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება;

- კი

თვითაცილება განაცხადა ავტორიზაციის საბჭოს მოწვეულმა წევრმა - ეკა ბოჭორიშვილმა.
სხდომა დატოვა საბჭოს მოწვეულმა წევრმა - ჯილდა ჭეიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინა მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, საერთაშორის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სავარაუდოდ საბჭო გაეცნო გაზიარებულ მასალას და მტკიცებულებებს, რომლებსაც ეყრდნობა ექსპერტების რეკომენდაციები. მან პირველ სტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც ეხება დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ განვითარებას, აღნიშნა, რომ მისიის განაცხადი, შეიცავდა ისეთ მონაცემებს, როგორიც იყო ცოდნის გაზიარება, სტუდენტების როლის გაძლიერება, ინოვაციური, კრეატიული აზროვნების გაღვივება, თუმცა მისია არ განსაზღვრავდა დაწესებულების როლს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე. ასევე, უნივერსიტეტის მისია არ განსაზღვრავდა დაწესებულების მახასიათებლებს მისი საქმიანობის სფეროსა და პროფილის გათვალისწინებით.

ექსპერტებმა ასევე ნახეს, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, თუმცა, რაც დააკლდათ ექსპერეტებს იყო ეფექტური ღონისძიებები თუ რამდენად უზრუნველყოფდა სტრატეგიული გეგმა უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას. ექსპერტებმა ასევე დაინახეს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების სტრუქტურა ეფექტურად ვერ უზრუნველყოფდა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული მიზნების განხორციელებას.

რაც შეეხება დაწესებულების ორგანიზაციულ სტრუქტურას, კერძოდ კი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს, არსებობდა დებულებები კონკრეტული სტრუქტურული ერთეულების, სადაც გაწერილი იყო ფუნქციები და პასუხისმგებლობები, მაგრამ რეალობაში არ ხდებოდა მათი განხორციელება, ასევე არ ხდებოდა პასუხისმგებლობების აღსრულება კოორდინირებულად და შეთანხმებულად. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, ძირითადად გასაუბრებების დროს რაც დაინახა იყო ის, რომ ყველა თანამშრომელი აღნიშნავდა, რომ ანგარიშვალდებული იყო რექტორის მიმართ, მაშინ როდესაც დებულებით განსაზღვრულია ანგარიშვალდებულების სხვადასხვა ხაზი. ინტერვიურების დროს ყველა აღნიშნავდა, რომ ყველაფერს აკეთებდნენ, როგორც ერთიანი გუნდი და შესაბამისად, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა არ იკვეთბოდა. ზოგადად, ექსპერტის თქმით, ორგანიზაციის ეფექტურად მართვა რთულია თუ კი ანგარიშვალდებულება არ არის სათანადოდ განსაზღვრული. როდესაც კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულებს არ აქვთ კონკრეტული, თავიანთი პასუხისმგებლობა და როლები, ეჭქვეშ დგება სტარტეგიული გეგმით გათვალისიწნებული გეგმებისა და ამოცანების მიღწევა.

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ნანახი იყო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი და შედეგების გამოყენების ინსტრუმენტი, თუმცა, შესწავლის პერიოდში ექსპერტებმა აღმოაჩინეს, რომ ხარისხის ციკლი არ იყო სათანადოდ დახურული. შესაბამისად, ექსპერტები ვერ დარწმუნდნენ, თუ რამდენად ეფექტურად ხდებოდა შეგროვებული მონაცემების და მიღებული შედეგების თაობაზე რეაგირება. გარდა ამისა, ექსპერტებმა ასევე რაც დაინახეს იყო ის, რომ ხარისხის კულტურის გავრცელება უნივერსიტეტის მასშტაბით არ იყო სათანადო დონეზე, რაც აბრკოლებდა ინსტიტუციის სათანადო ხარისხით ფუნქციონირებას. ექსპერტების შეფასებით, ხარისხის კულტურა და თავად ხარისხის კულტურის იდეა სათანადოდ არ იყო გააზრებული უნივერსიტეტის მასშტაბით.

ავტორიზაციის მე-3 სტანდარტთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა პროგრამების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების ცვლილებისა და გაუქმების პროცედურა. აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, პროგრამებს შეიმუშავებენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაბამისი ფაკულტეტიდან. პროცესში ასევე ჩართულები არიან დარგის სპეციალისტები, პოტენციური დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, თუმცა, აღნიშნულ დოკუმენტებში მათ ვერ დაინახეს სტუდენტების აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში. ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს პროგრამის შეფასების პროცესი და ნახეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები არ არის ნათელი, გამჭვირვალე და პროგნოზირებადი. არ არსებობს სიცხადე პროგრამის მიმოხილვის ციკლის სიხშირის შესახებ, იქნება ეს წლიური თუ პერიოდული. შესაბამისად, ექსპერტებს დარჩათ შთაბეჭდილება, რომ ეს იყო ერთჯერადი ხასიათის, ვინაიდან არ იყო განსაზღვრული, თუ რამდენად ხშირად უნდა მოხდეს პროგრამის შეფასება. ექსპერთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ განსაზღვრული არ იყო კლასიფიკაცია, თუ რა ტიპის ცვლილებები შეიძლება შევიდეს პროგრამაში, მცირე თუ მასშტაბური ცვლილებები. ექსპერტებმა ასევე, ვერ დაინახეს რაიმე მტკიცებულება იმის შესახებ, რომ დაწესებულება განიხილავს ან განაახლებს საგანმანათლებლო პროგრამებს ავტორიზაციის სტანდარტებში მოთხოვნილი ცვალებადი გარემოს საფუძველზე, ნებისმიერი ცვლილება, როგორიცაა COVID პანდემია ან სხვა

კულტურული, სოციალური ან სამეცნიერო ცვლილებები, სიახლეები, რომლის პირისპირაც შეიძლება აღმოჩნდეს დაწესებულება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ინტერვიუებზე წარმოდგენილ არცერთ დაინტერესებულ მხარეს - დამსაქმებლებს, კურსდამთავრებულებს ან სტუდენტებს არ ჰქონდა რაიმე ინფორმაცია მათი ჩართულობის საჭიროების თუ შესაძლებლობის შესახებ რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების ან გაუმჯობესების პროცესებში.

რაც შეხება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს, ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ სწავლის შედეგები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურთან მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი ლოგიკურად არის დაკავშირებული და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამების მოდიფიცირებისა და გაუქმების პროცედურა ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. ასევე, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების უმეტესობა უზრუნველყოფს არასავალდებო კურსების შეთავაზების შესაძლებლობას.

ავტორიზაციის მე-3 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს სწავლის შედეგების შეფასების გამჭვირვალე სისტემა, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას. ეს სისტემა მოიცავს შეფასების ფორმატს, მეთოდებს და იძლევა სტუდენტის მიღწევების იდენტიფიცირების საშუალებას. დაწესებულება იყენებს გამჭვირვალე კრიტერიუმებს სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასებისას და სტუდენტებისთვის ცნობილია შეფასების სისტემების შესახებ ინფორმაცია.

ავტორიზაციის მე-4 სტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც ეხება დაწესებულების პერსონალს, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა ასახავს ადამიანური რესურსების მართვის პროცესის ზოგად პრინციპებს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, უნივერსიტეტს არ აქვს პერსონალის მართვის მიმართ სტრუქტურირებული მიდგომა. თავად პოლიტიკა საკმაოდ ფრაგმენტული და ბუნდოვანია, ხაზს უსვამს, მხოლოდ ზოგად ფარგლებს, პრინციპებისა და პრიორიტეტების ჩამონათვალს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის შეფასებით, არ არსებობს პერსონალის განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირების მკაფიო პოლიტიკა, არც იმ სფეროში, რომელსაც ისინი ასწავლიან და არც კვლევის მიმართულებით. ასევე, არ არსებობს სისტემური პროცესი იმის შესაფასებლად თუ რა შედეგი იქონია პროფესიული განვითარების ღონისძიებებმა ამ პროცესებში ჩართულ პერსონალზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსების, მისი განვითარებსა და შეფასების ფუნქციები გადანაწილებულია 3 სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულზე. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, საკვალიფიკაციო ოფისი და სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი. ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ამ სტრუქტურულ ერთეულებს შორის არ იყო პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები მკაფიოდ გამიჯნული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნაში მე-4 სტანდარტთან დაკვშირებით დეტალურად მოყვანილი არგუმენტების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულება მოკლებულია შესაძლებლობას, უზრუნველყოს დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის მიერ საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტურად მართვა და მათ მიერ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევაში წვლილის შეტანა. საერთაშორისო ექსპერტმა, მე-4 სტანდარტთან დაკავშირებით ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და თითოეული პროგრამისათვის აკადემიური და მოწვეული პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია. დატვირთვის სქემა რეგულარულად განახლებადია და იგი ითვალისწინებს პროგრამის შინაარსს და კურსებს, მათ სპეციფიკას, სტუდენტების რაოდენობას და ინფრასტრუქტურის შესაძლებლობებს.

ავტორიზაციის მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სტუდენტებს და მათ მხარდამჭერ ღონისძიებებს, საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესები. ეს წესები გამჭვირვალე და სამართლიანია და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ასევე, ეს ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

რაც შეეხება კონსულტირებას, სტუდენტები, იღებენ შესაბამის კონსულტაციებს და დახმარებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს სტუდენტების კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის სერვისი, რომელიც ადგენს კურსდამთავრებულთა ჩამონათვალს, ასევე დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზას. ასევე, უნივერსიტეტს შემუშვებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც ეხმარება სტუდენტებს სასწავლო პროცესში შეუფერხებლად ჩართვაში. საერთაშორისო ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ორგანიზებული იყო კურიკულუმის გარეშე აქტივობები და სტუდენტები მონაწილეობდნენ კულტურულ, საგანმანათლებლო, გასართობ და სხვადასხვა ტიპის დამატებით აქტივობებში.

ავტორიზაციის მე-6 სტანდარტს, რომელიც ეხება კვლევას, განვითარებას ან/და სხვა შემოქმედებით საქმიანობას, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ინსტიტუცია ითვალისწინებს, მისი როგორც თანამედროვე აკადემიურ, სამეცნიერო და კვლევით ცენტრის უწყვეტ განვითარებას. დაწესებულების მიერ ხაზგასმულია, რომ ითვალისწინებენ ინოვაციური და შედეგებზე ორიენტირებული კვლევის კომპონენტის ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტს არ აქვს განსაზღვრული მკაფიო სტრატეგიული პრიორიტეტები, ასევე სპეციალური კვლევითი ლაბორატორია, რომელთან მიმართებითაც გასათვალისწინებელია ამჟამინდელი დაფინანსების ნაკლებობა. კვლევითი მიმართულების გაძლიერების მიზნით დაწესებულებამ ჩამოაყალიბა სამეცნიერო კვლევითი და უწყვეტი განათლების ცენტრი, ასევე დააფუძნა ინტერდისციპლინარული კვლევითი ცენრტი სტუდენტების ინტერდისციპლინარულ კვლევებში ჩართვის მიზნით, თუმცა, უშუალოდ კვლევით მიმართულებაში ჩართვის და გაძლიერების ნაცვლად, ცენტრი ორიენტირებულია საორგანიზაციო საკითხებზე, როგორიცაა მაგალითად - ინფორმაციის შეგროვება მეცნიერებსა და დოქტორანტურის სტუდენტებზე.

საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ სდასუ-ს შემუშავებული აქვს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევითი აქტივობის შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოიცავს პერსონალის მიერ სამეცნიერო ღონისძიებებსა თუ კონფერენციებში მონაწილეობას, შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების რადენობას, მოპოვებული გრანტების რაოდენობას, გრანტზე განაცხადების წარდგენას და სხვა პარამეტრებს, რაც ასახულია რელევანტურ დოკუმენტებში. თუმცა, როგორც სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებით მოწოდებულ ანგარიშიდან ჩანდა, იგი არ იყო კარგად გაანალიზებული და არ შეესაბამებოდა დაწესებულების მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების სრული სურათის მისაღებად არ არის საკმარისი მხოლოდ მონაცემების შეგროვება, არამედ აუცილებელია მისი საფუძვლიანად გაანალიზება, რათა მოხდეს ხარვეზების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრისთვის საჭირო ზომების დაგეგმვა-განხორციელება.

ავტორიზაციის მე-7 სტანდარტს, რომელიც ეხება მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებს, საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ სდასუ ფლობს იმ უძრავ ქონებას, სადაც ფუნქციონირებს საგნმანათლებლო დაწესებულება. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა, როგორც მთავარ კამპუსში, ასევე, პარტნიორი კლინიკების ტერიტორიაზე. მთავარ კამპუსში არ არსი ლიფტი, ასევე არ ფუნქციონირებს კაფეტერია. აუდიტოერიებში არის ბუნებრივი განათების წყარო, თუმცა არ არის ცენტრალური გათბობა, არ არის ჰაერის

კონდიცირების სისტემა, შიდა და გარე პერიმეტრზე დაყენებულია კამერები და განთავსებულია შესაბამისი ნიშნებიც. რაც შეეხება, სანიტარულ კვანძებს, საერთაშორისო ექსპეტმა აღნიშნა, რომ არის ტიხრები, თუმცა აღნიშნული ტიხრები არ უზრუნველყოფს ადამიანის მთლიან დაფარვას, რაც არაკომფორულ გარემოს ქმნის. სველი წერტილები არ იყო ადაპტირებული სსსმ პირებისთვის, ასევე არ იყო გამოყოფილი საპარკინგე სივრცე სსსმ პირებისთვის.

რაც შეეხება ბიბლიოთეკას, ექსპერტმა განაცხადა, რომ იგი ფუნქციონირებს კვირაში ექვსი დღის განმავლობაში და შეუძლია ერთდროულად დაიტიოს 50 სტუდენტი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებული იქნა 2 დიდი სამკითხველო ოთახი, რომელიც განკუთვნილი იყო, როგორც სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისთვის. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ელექტრონულ სისტემაში. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ფუნქციების მქონე კომპიუტერებითა და პრინტერებით. საბიბლიოთეკო ლიტერატურა ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო იდენტიფიცირება, ასევე დაწესებულებამ ვერ შეძლო რაიმე სტატისტიკის მოწოდება იმასთან დაკავშირებით, თუ ქართული და უცხოური ლიტერატურის რა წილი არის ბიბლიოთეკაში არსებულ წიგნად ფონდში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის ყოვლისმომცველი პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ყველა მომხმარებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების, ინფორმაციის, ტექნოლოგიების, უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში დანერგილია, საგანმანათლებლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც არის ძლიერი პლატფორმა და რომელიც შექმნილია დაწესებულების ყოვლისმომცველი, საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმიანობის მხარდასაჭერად. სისტემა ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესს, მის მხარდაჭერას, კომუნიკაციას, ინფორმაციის დამუშავებას და მონაცემთა დაცვას. იგი ფართოდ გამოიყენება ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მიერ. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს 1 წლიანი ხელშეკრულება ჯგუფთან, რომელიც ამ სისტემას აწვდის უნივერსიტეტს.

დასასრულს, საერთაშორისო ექსპერტმა უნივერსიტეტის ფინანსების მართვასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობს პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც განაწილებულია პასუხისმგებლობები და მოვალეობები თითოეული სტრუქტრურლი ერთეულის მიხედვით, იმისთვის, რომ დროულად და ეფექტურად მოხდეს მიზნების მიღწევა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იწყებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის მექანიზმის შექმნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რათა აღმოეჩინათ, ხომ არ იყო რაიმე ფაქტობრივი ცდომილება დასკვნის პროექტში. ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ნებისმიერ ქმედება, ნებისიერ რამ, რაც განხორციელდა ვიზიტის შემდგომ, არ იყო რელევანტური დასკვნისთვის, რადგან დასკვნაში ხდება ვიზიტის დროს არსებული სიტუაციისა და რეალობის ასახვა.

საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა დაწესებულების მხრიდან მცირედი აღრევა კანონმდებლობასთან შესაბამისობასა და იმას შორის, თუ რა არის ეფექტური განათლების კარგი მენეჯმენტისთვის. ის რაც არის სამართლებრივად შესაბამისი, არ არის აუცილებლად ეფექტური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის კუთხით.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში ვხედავთ, რომ დაწესებულება მუდმივად აპელირებს იმაზე, რომ იგი აკმაყოფილებს

ავტორიზაციის სტანდარტებს. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ამგვარი მსჯელობის განვითარება და სამართლერივი შეფასების წარმოდგენა დაწესებულებას შეუძლია თვითშეფასების ანგარიშში, რაც თავის მხრივ არ წარმოადგენს ერთადერთ მტკიცებულებას დაწესებულების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად. დაწესებულებას არ წარმოუდგენია კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის მტკიცებულებები. არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულება იმეორებს იმას, რაც ექსპერტებისთვის უკვე ცნობილია, ხდება ფაქტების და ინფორმაციის გამეორება.
გარდა ამისა, საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში აპელირებდა, რომ მათ პროგრამებს გავლილი აქვთ აკრედიტაცია და დაწესებულება ასევე გავლილი აქვს ავტორიზაცია. ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტები განსხვავდება ინსტიტუციის ავტორიზაციის სტანდარტებისგან. ხოლო 2018 წელს მიღებულ ავტორიზაციასთან დაკავშირებით, ექსპერტმა განაცხადა რომ, მათ მიერ წარმოგენილი დასკვნა ასახავს ამჟამინდელ პერიოდში დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა და არფერი აქვს საერთო პროგრამის აკრედიტაციასთან და წინა ავტორიზაციასთან. ექსპერტის თქმით, ამ ყველაფრის არგუმენტად ახლა მოყვანა ხაზს უსვამს იმას, რომ დაწესებულება ნაკლებად ინფორმირებულია ავტორიზაციის სტანდარტებზე. საერთაშორისო ექსპერტმა გამოთქვა მზაობა შეკითხვების არსებობის შემთხვევაში ეპასუხა მათზე.

სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა - ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინათ მოსაზრებები
დაწესებულების წარმომადგენელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისათვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება შეეცადა მაქსიმალური ინფორმაცია მიეწოდებინა ექსპერტთა ჯგუფისთვის. მისი გნაცხადებით, დაწესებულება ექსპერთა ჯგუფის მიერ გაცემულ რიგ რეკომენდაციებს არ ეთანხმება.
პირველ სტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ, უსდ-ს მისიასთან მიმართებით, წარმოდგენილი იყო ორი რეკომენდაცია. პირველი იყო ის რომ ,,უზრუნველყავით ინსტიტუციის მიერ გამოქვეყნებული და გავრცელებული მისიის ყველა ვერსიის თანმიმდევრობა'' და მეორე ,,ჩაასწორეთ მისიის ფორმულირება ისე რომ იგი ხაზს უსვამდეს დაწესებულების როლს ადგილობრივ და გლობალურ კონტექსტში, ასევე დაწესებულების საქმიანობისა და მისი ტიპის გათვალისიწინებით''. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიერ თვითშეფასების ანგარიშთან ერთად ცენტრში წარდგენილ იქნა 2024 წელს დამტკიცებული მისიის დოკუმენტი. თუმცა, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე იგი იმ დროისათვის არ იყო განთავსებული, რამაც გამოიწვია მისიის თაობაზე არსებული ვერსიების განსხვავებული აღქმა. ასევე აღნიშნა, რომ პირველ სტანდარტთან დაკავშირებით გაცემულ მეორე რეკომენდაციას არ იზიარებს დაწესებულება, რადგან მიჩნია, რომ წარმოდგენილ მისიაში ნათლად ჩანს ის მიზნები, რაც დასახული აქვს დაწესენულებას.
ავტორიზაციის სტანდარტის 1.2 კომპონენტთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სტრატეგიულ განვითარებას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაშიც თვითშეფასების დოკუმენტაციის გაგზავნის დროს წარმოდგენილი იყო, როგორც უკვე დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავდა 2018-2024 წლებს, შეაბამისად, ამ გეგმის მოქმედება ჯერ არ იყო დასრულებული, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქოდნა სტრატეგიული და სამოქმედეო გეგმის პროექტები, რომელთა დამტკიცდება წლის ბოლოს მოხდებოდა. დაწესებულების წარმომადგენელს მიაჩნდა, რომ ექსპერტებს აქცენტი გაკეთებული ჰქონდათ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტებზე, რომელიც ამ ეტაპზე არ მუშაობს და იგი დამტკიცდება წლის ბოლოს. აქვე, დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ იმ

რჩევებს და რეკომენდაციებს რაც იქნა გაცემული, დაწესებულება მაქსიმალურად გამოიყენებს სამომავლო სტრატეგიული გეგმის დამტკიცების ეტაპზე. აქვე საუბარი იყო სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგის და შეფასების დოკუმენტის შესახებ, რომელზეც ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ უსდ-ს მიერ შემუშავებული იყო 2024 წელს. დოკუმენტის შესაბამისად, შეფასება და მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ორჯერ, ხოლო სტარტეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება წელიწადში ერთხელ. ამასთან, აღნიშნულ დოკუმენტებში დეტალურად არის გაწერილი, თუ რა მექანიზმებით ხორციელდება მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგების შეფასება, ასევე როგორ ხდება მონიტორინგის და შეფასების შედეგების გამოყენება. აქედან გამომდინარე, ექსპერტების რეკომენდაციას, რომ შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ვერ უზრუნველყოფს ამ მიმართულებით დასახული მიზნის მიღწევას და განხორციელებას, დაწესებულება არ ეთანხმება. დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ გნმარტა, რომ ახალ გეგმაზე, რომელიც წლის ბოლოს დამტკიცდება მიმდინარეობს სამუშაო პროცესი და მაქსიმალურად იქნება ექსპერეტების რეკომენდაციები გათვალისიწნებული.

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან დაკავშირებით, როემლიც შეეხება უსდ-ს ორგანიზაციულ სტრუქტურას და მართვას, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებულია მოსაზრება, რომ ,,ექსპერტთა ჯგუფს არ შეუძლია დარწმუნებით აღნიშნოს, რომ დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს სტრატეგიულ გეგმაში გათვალსიწინებული აქტივობების ეფექტურად განხორციელებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას. აღნიშნულის მიზეზად მოყვანილი არგუმენტების ანალიზის შედეგად, ვლინდება შემდეგი გარემოებები: დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა ხელს უშლის სტარეტეგიული გეგმის ეფექტურ განხორციელებასა და მიზნების მიღწევას, სხვადასხვა დეპარტამენტის რგოლები და პასუხისმგებლობები არ არის მკაფიოდ განსაზღვული, რაც ართულებს ორგანიზაციის მართვას, კერძოდ რექტორსა და აკადემიური საბჭოს აქვთ მსგავსი უფლებამოსილებები ექსპერეტბი ეჭქვეშ აყენებენ იმ გარემოებას, რომ რექტორი აგრეთვე წარმოდგენილია, როგორც აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე; უნივერსიტეტს დამფუძნებლებს არ აქვთ ფორმალური რგოლი ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს არ გააჩნია ეფექტური მართვისა და ხარისიხს უზრუნველყოფის მექანიზმები, პანელს მიაჩნია რომ ,,ორგანიზაციული სტრუქტურა საჭიროებს რესტრუქტურიზაციას, რათა უზრუნველყოს მკაფიო, გამჭირვალე და პროგნოზირებადი მენეჯმენტი''. დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა, რომ არგუმენტირებულ პასუხში დაწესებულებას ამ საკითხზე წარმოდგენილი ჰქონდა ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან ამონარიდი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას კიდევ ერთხელ უწევს გამეორება, რომ უსდ იურიდიულად არის შპს და დამფუძნებლის, როგორც რექტორის და აკადმიური საბჭოს თავმჯდომარის პოზიციებზე წარმოდგენა, ხელს კი არ უშლის ორგანიზაციის გამართულ ფუნქციონირებას, არამედ პირიქით, რექტორი წარმოდგენს ყველაზე დაინტერესებულ პირს რომ უსდ არა მხოლოდ სრულად შეესაბამებოდეს ავტორიზაციის სტანდარტებს, არამედ ღირსეულად გაუწიოს კონკურენცია სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, განსაკუთრებით სწრაფად მზარდი ეკონომიკური გარემოს პირობებში. შესაბამისად, ეს სტანდარტი ექსპერტების მიერ იყო შეფასებული როგორც ,,არ არის შესაბამისობაში“ დადგენილ მოთხოვნებთან, გამომდინარე აქედან, დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ორ ძირითად ფაქტორს - კერძოდ, მიუთითა ,,უმაღლესი განთლების შესახებ'' საქართველოს კანონზე, რომელიც განსაზღრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის სტატუსსა და უფლებამოსილებებს.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნულთან დაკავშირებით განუცხადა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ საბჭოს წევრები იცნობდნენ აღნიშნულ კანონს. დაწესებულების

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, იგი ვერ ხედავს რაში მდგომარეობს პრობლამა თუკი დაწესებულების რექტორი არის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.
აგრეთვე, უსდ-ს ფაკულტეტების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებები სრულად არ არის ასახული უნივერსიტეტის დებულებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტის დებულებაში ფაკულტეტს საბჭოს უფლებამოსილებები ზოგადი სახით არის წარმოდგენილი, ხოლო დეტალურად გაწერილია შესაბამისის ფაკულტეტის საბჭოს დებულებაში. აქვე აღნიშნა, რომ უსდ-ს გამართული მუშაობისათვის შემუშვებული და დამტკიცებული აქვს ყველა სავალდებულო ნორმატიული აქტი, რომელიც ასევე განთავსებულია დაწესებლების ვებ-გვერდზე და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ამ დოკუმენტაციის გაცნობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე მოიხმო ექსპერტთა დასკვნაში არსებული ჩანაწერი: ,გარდა ამისა დამატებითი გამოწვევა იქნება თუკი სდასუ არ გააუმჯობესბეს თავის სტუდენტებში, აკადემიურ და ადმინსიტრაციულ პერსონალში ინგლისური ენის კომპეტენციას. დაწესებულების წარმოამდგენელმა განაცხადა, რომ ეს რეკომენდაცია დასკვანში იყო არაერთხელ გამეორებული, რამაც გამოიწვია გაუგებრობა, რადგან ინტერვიუები ძირითადად მიმდინარებდა ქართულ ენაზე, ვინაიდან საქართველოში ოფიციალური ენა არის ქართული. შესაბამისად საქმისწარმოებაც ხდება ქართულად, ამიტომ ცენტრი უზრუნველყოფს თარჯიმნის მომახურებას ვიზიტის დროს, ასევე დოკუმენტების თარგმნას, შესაბამისად სესიების დროს ქართულ ენაზე საუბარი დაწესებულებას არ მიაჩნია საკმარის საფუძვლად საიმისოდ, რომ გაკეთებულიყო დასკვნა დაწესებულებაში ინგლისური ენის კომპეტენციის დაბალი დონის არსებობასთან დაკავშირებით. ასევე, აღნიშნა, რომ უსდ გამოხატავს მზაობას გადადგას კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები ადმინისტრაციული და აკადემიური რგოლების კომპეტენციების ინტერნაციონალიზაციის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დაწესებულებაში არ არსებობს მართვის მექანიზმები, არსებული რესურსებით და პრაქტიკით ვერ უზრუნველყოფს სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების საბაზო დონეზე დაკმაყოფილებას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, არც ისე კრიტიკულადაა მდგომარეობა დაწესებულებაში, როგორც ეს დასკვნის პროექტშია ასახული. უნივერსიტეტს გააჩნია 30 წელზე მეტხნიანი გამოცდილება, არსებობს საკმარისი ადამიანური რესურსი და რაც ყველაზე მთავარია, უნივერსიტეტს გააჩნია მზაობა და გონივრული გეგმა, რათა მყისიერი რეაგირება მოახდინოს, განახორციელოს ცვლილებები და გააუმჯობესოს უსდ-ს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირება ექსპრეტების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ უსდ მზადაა გაითვალისწინოს რეკომენდაციები, თუმცა ვერ დაეთანხმება ექსპერტებს, იმ ნაწილში, რომ ისეთი კრიტიკული მოცემულობა აქვს დაწესებულებას, როგორც ეს დასკვნაშია ასახული.
რაც შეეხება სტანდარტის 2.2 კომპონენტს, რომელიც ეხება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტები აღნიშნავენ დასკვნაში, რომ სდასუ-ს აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომლიც ასახავს პოლიტიკას და დაფუძნებულია ისეთ პრინციპებზე, როგორიც არის - უწყვეტობა, გამჭირვალობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. თუმცა, არგუმენტების გარეშე მათ დაადგინეს, რომ პოლიტიკის დოკუმენტი ჩამოყალიბებულია თეორიულად, აკადემიური პროფესიული კურსის საკითხავი ლიტერატურის ჩამონათვალის მსგავსად, ვიდრე პრაქტიკაზე ორიენტირებული ვალდებულებების გათვალისწინებით. ასევე, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ გასაუბრების მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფს სამსახურის ერთ-ერთ პასუხისმგებლობას წარმოადგენს დაწესებულების ყველა ერთეულის ეფექტური ჩართულობის უზრუნველყოფა, ხარისიხს უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ექსპერტები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ყველა ერთეული

შეიძლება იყოს მონაწილე, თუმცა შეუძლებელია ყველა ერთეული იყოს პასუხისმგებელი. ხოლო, ინტერვიუს შედეგად ასკვნიან, რომ ყველა ერთეული ჩართული იყო დაკისრებული საქმიანობის შესრულებაში და არ იყო განსაზღვრული ერთი პირი. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების წარმართვას და კონტროლს ხარისხი უზრუნველყოფის სამსახური, კერძოდ კი ხელმძღვანელი ახორციელებს, რომლის უფლება-მოვალეობები მკაფიოდ არის გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში, ხოლო იმ შემთხვევაში თუკი საჭიროებისამებრ ინიშნება რაიმე სახის კომისია ან სამუშაო ჯგუფი, შესაბამის ბრძანებაში აისახება გუნდის საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე აღნიშნა, რომ ინტერვიუს დროს რესპოდენტისაგან მიღებული პასუხი, რომ გარკვეული მიზნობრივი გუნდის წევრები ერთობლივად იღებენ მონაწილეობას დაკისრებული საქმიანობის შესრულებაზე მიუთითებს, რომ სდასუ-ში კარგად არის დანერგილი გუნდური მუშობის პრინციპები, რაც თავისთავად მისასალმებელია და დაწესებულება ამ ნაწილში ვერ ხედავს რაიმე უარყოფითს.

ამასთან ერთად ექსპერტების დასკვნაში აღნიშნულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ჰყავს ორი თანამშრომელი და ვარაუდობენ, რომ აღნიშნული რაოდენობა შესაძლოა არ იყოს საკმარისი დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში 15 აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა ფუნქციონირებს, რომელთაც თავის მხრივ ემსახურებიან პროგრამის ხელმძღვანელები, ხოლო მათ მიერ შესრულებულ სამუშაოებს აკონტროლებს/კოორდინაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

გარდა ამისა, მიმდინარე პერიოდისთვის, უსდ-ში ირიცხება 656 სტუდენტი და მუშაობს 242 პერსონალი. შესაბამისად, დაწესებულება მიიჩნევს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად სამსახურის საშტატო ერთეული ლოგიკურად და ადეკვატურად არის განსაზღვრული, ამასთან საჭიროების შემთხვევაში ინსტიტუცია გამოთქვავს მზადყოფნას, საშტატო ერთეულის მომატებაზე და სამსახურის სტრუქტურის განახლებაზე. ამასთან,ექსპერტების მიერ აღნიშნულია, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების და შეფასების შედეგების გამოყენების წესი, რომლის მიხედვითაც დაწესებულება აფასებს აკადემიური საქმიანობის, ადმინისტრაციული და დამხმარე სერვისების ხარისხს, ასევე რესურსებს სტანდარტით განსაზღვრული მიმართულებებით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ გამოკითხვის შაბლონები მტკიცდება ლექტორის მიერ, რის საფუძველზეც გაკეთდა დასკვნა, რომ აღნიშნული მეტყველებს არამხოლოდ მიკრო მენეჯმენტზე, არამედ გავლენას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, როგორც პროცესის მენეჯერის ანგარიშვალდებულებაზე. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებისათვის გაუგებარია, რატომ უნდა მოახდინოს შაბლონის დამტკიცებამ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობაზე ნეგატიური გავლენა. მოცემულ შემთხვევაში დაწესებულება თვლის, რომ რექტორის, ამავე დროს დამფუძნებლის პირადი დაინტერესება და ჩართულობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიც არის სტუდენტების, პერსონალის და სხვა დაინტერესებული პირების გამოკითხვა, მათი მოსაზრებების თუ კმაყოფილების გაანალიზება და გათვითცნობიერება, არათუ ეწინააღმდეგება ავტორიზაციის სტანდარტებს, არამედ მნიშვნელოვნად უწყობს ხელს უსდ-ს შემდგომი განვითარების პროცესებს.

ასევე, ექპსერტები აღნიშნეს, რომ კითხვარების გადახედვა ხორციელდება წელიწადში ერთხელ. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ კითხვარების ხშირად გადასინჯვამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მონაცემთა შედარების ინსტიტუტიციურ შესაძლებლობაზე და დროთა განმავლობაში ტენდენციების ანალიზზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ სისტემატიურად უნდა გამოიყენოს ინსტრუმენტი, რომელიც ორიენტირებულია ყველა შიდა და გარე დაინტერესებული მხარის კმაყოფილების შეფასებაზე სდასუ-ში განხორციელებულ პროგრამებთან მიმართებაში. დაწესებულების

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს საგანამანთლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგს, აწარმოებს შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების კვლევას, შეიმუშავებს გამოკითხვის ფორმებს, ატარებს შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ანანომიურ გამოკითხვებს. ასევე, ახდენს სტუდენტთა ინტერვიუერირებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მტკიცებულებები წარმოდგენილია დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშში.

ამასთან,ექსპერტთა ჯგუფმა განმარტა, რომ იმის მიუხედავად, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, როგორც ეს გაცხადებულად ორიენტირებულია PDCA ციკლზე, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ არ ხორციელდება ციკლის დასრულება, რამაც უნდა უზრუნველყოს შეგროვებული მონაცმების გამოყენება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება. აღნიშნული მიგნების საფუძველზე, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ხარისხის უკუკავშირის ციკლის დასრულება, გამოკითხვის მონაცემების შემდგომი მიზანმიმართული ანალიზისა და შესაბამისი ზომების განხორციელებით, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირზე რეაგირების მიზნით განხორციელებულმა ღონისძიებებმა შესაძლოა ასევე გაზარდოს გამოკითხვების სანდოობა. ასევე, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს გამოკითხვების მონაცემთა უწყვეტობა და შედარება გამოკითხვის უკეთესი ფორმების საშუალებით. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანონიმური გამოკითხვებისა და ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გასცემს რეკომენდაციებს, წარუდგენს აკადემიურ საბჭოს და მასთან შეთანხმებით გეგმავს სასწავლო პროცესის და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს და ამოწმებს ჩასატარებელი ღონისძიებების მიმდინარეობას. რაც შეეხება გამოკითხვის ფორმებს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვინაიდან, საქართველოს უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებების სივრცეში არ არსებობს გამოკითხვის რაიმე დადგენილი სტანდარტი ან ფორმა, შესაბამისად, დაწესებულება სრულიად თავისუფალია კითხვარის შედგენის პროცესში. ასევე დაწესებულებაშ წარმატებით ფუნქციონირებს მოდიფიცირებული აკრედიტირებული საგანამნათლებლო პროგრამები. შესაბამისად, აკრედიტაციის პროცესში დადასტურებულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლებს ჩართულობა პროგრამების შემუშავება-განხორციელების პროცესში. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის მოთხოვნებს და შეესაბამება სტანდარტებს. განუწყვეტლივ მიმდინარეობს მათი განხორციელების მონიტორინგი. უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამების მიერ აკრედიტაციის მოპოვება და შემდგომ წარმატებული განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა არაეფექტური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პირობებში.

რაც შეეხება 2.3. სტანდარტს, რომელიც შეეხებოდა ეთიკის და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას, ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ეთიკის კოდექსი და შექმნილია ეთიკის კომიტეტი. ეთიკური ნორმები, როგორც წესი, გავრცელებულია დაწესებულების ფარგლებში. როგორც გასაუბრების დროს დადასტურდა, სტუდენტებს და პერსონალს ეცნობებათ, თუ რას მოელიან მათგან ეთიკური ქცევის თვალსაზრისით. ეთიკის კოდექსი საკმაოდ დეტალურად აღწერს თუ რა არის ეთიკური და არაეთიკური, დისკრიმინაციული და არაკეთილსინდისიერი, მაგრამ მასში არ არის გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული რეგულაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის სტანდარტებში, ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცის აღწერილობაში აღნიშნულია, რომ ,უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკის და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას', აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ

ხელმისაწვდომია, ხოლო შეფასების კრიტერიუმებად მოცემულია შემდეგი: უსდ-ს პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის შემუშავებული აქვს ეთიკის და ქცევის წესები და განსაზღვრული აქვს ამ წესების დარღვევაზე რეაგირების შესაბამისი პროცედურები; უსდ-ს ადმინისტრაცია შესაბამისი ღონისძიებების გათვალისწინებით მუდმივად ზრუნავს ეთიკური ნორმების დაცვის ხელშეწყობასა და წახალიზებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება მიიჩნევს, რომ ექსპეტების მიერ ჩამოყალიბებული რეკომენდაციები ატარებს რჩევის ხასიათს. რაც შეეხება პლაგიატის პოლიტიკას, დაწესებულებას შემუშავებული აქვს აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი, ასევე სამეცნიერო კვლევითი საბაკალავრო ნაშრომების მომზადების პოლიტიკა. ყველა ჩამოთვლილი დოკუმენტი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სდასუ იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, რომელიც ასახული არის მის მისიაში და გასაუბრების დროს საუნივერსიტეტო საზოგადოებამ დაადასტურა, რომ მათ არ გამოუცდიათ აკადემიური საქმიანობის შემაფერხებელი გარემოებები.

ავტორიზაციის მე-3 სტანდარტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა - საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელმა, სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების ცენტრის უფროსმა და ასოცირებულმა პროფესორმა განაცხადა, რომ ექსპერტთა მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები სტუდენტთა ჩართულობასა და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმებთან დაკავშირებით, მოდიფიცირებასა და განახლებასთან დაკავშირებით, ასევე გარე დაინტერესებული მხარეების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების ინტეგრაცია პროგრამის მართვასა და მის სრულ ციკლთან დაკავშირებით, ასევე, ექსპერტების რეკომენდაცია იყო გაცემული, რომ დაინერგოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობის მკაფიო პროცესი, რომელიც იქნება გამჭვირვალე, ეცოდინება ყველა დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელებს და აკადემიურ პერსონალს. აღნიშნულ პერსონალს უნდა ჰქონდეს მკაფიო იურისდიქცია, პოლიტიკა და შეხვედრები უნდა ტარდებოდეს რეგულარულად, ანუ უფრო ხშირად, ვიდრე სემესტრში ერთხელ. ასევე, დასკვნაში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტს აქვს შემუშვებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დაგეგმვის მეთოდოლოგია, ასევე საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელებისა და გაუქმების პროცედურები, ასევე, დასკვნაში ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დოკუმენტში არ არის გაწერილი პროგრამების შემუშვების პროცესში სტუდენტების ჩართულობა, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან სწორედ ექსპერტების მიერ აღნიშნული დოკუმენტის მეხუთე მუხლში, რომელიც ეხება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშვებას, გაწერილია სტუდენტების, დაინტერესებული მხარეების როლი პროგრამის შემუშავების პროცესში და ამას მოწმობს დაწესებულების გამოკითხვები.

გამოკითხვების ფორმებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ საკმაოდ მრავალფეროვანი გამოკითხვების ფორმები იქნა წარდგენილი წინასაავტორიზაციო პროცესში, ინსტიტუციამ შეიმუშავა საკმაოდ ბევრი გამოკითხვის ფორმა, ყველა დაინტერესებული მხარე იყო აღნიშნულ პროცესში ჩართული, მათ შორის დამსაქმებლებიც და სტუდენტებიც. რა თქმა უნდა, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მოდიფიცირების პროცესში გამოკითხვები ხორციელდება ყოველსემესტრულად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ასევე სტუდენტთა კარიერული განვითარების და კურსდამთავრებულთა დასაქმების ცენტრის მიერაც რეგულარულად ხორციელდება დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან ასევე ყველა დაინტერესებულ მხარესთან შეხვედრა მრგვალი მაგიდის ფორმატში თუ სხვადასხვა სახით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ დოკუმენტში ასევე მკაფიოდ გახლავთ განმარტებული სტუდენტების როლი პროგრამის შემუშვების პროცესში. რაც შეეხება პროგრამის გადახედვის ციკლურობას, საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურებში, მაგალითად, მეორე მუხლში ნათლად არის ჩამოყალიბებული

თუ რა შემთხვევაში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა. საკმაოდ ბევრ ფაქტორზე არის დამოკიდებული, როგორიც გახლავთ პროგრამის შეფასებისას გამოყენებული სხვადასხვა ინდიკატორები, ასევე დამოკიდებულია სტუდენტთა მობილობაზე, ჩარიცხვებზე, კურსდამთავრებულთა დასაქმების რაოდენობაზე და ა.შ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ წლის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში ხდება მასალების შეგროვება და ლოგიკურიცაა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში ოფიციალური ცვლილების შეტანა შესაძლებელი გახლავთ და ხორციელდება ან სასაწვალო სემესტრის დასაწყისში ან აკადემიური წლის დაწყებამდე. გამოდმინარე იქედან, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობა ციკლურ ხასიათს ატარებს და ის გახლავთ მუდმივი პროცესი, არ მოხდა კონკრეტული დროის განსაზღვრა და ჩაწერა დოკუმენტში, ვინაიდან ერთხელ ან ორჯერ მისი შეფასება დაწესებულებამ მიიჩნია არამიზანშეწონილად, ვინაიდან დაწესებულებამ ჩათვალა, რომ ამას შეეძლო უარყოფითი გავლენა მეხდინა პროგრამის შემდეგომ განვითარებაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დასკვნაში ექსპერტთა ჯგუფი ავითარებს შემდეგი სახის მსჯელობას: ექსპერტთა ჯგუფი არ ფლობს მკაფიო ინფორმაციას თუ რამდენად ხშრად და როგორ შეიძლება განხორციელდეს პროგრამის რადიკალური ცვლილებები, ვინაიდან, არ არსებობს მცირე და მნიშვნელოვანი ცვლილებების კლასიფიკაცია, რომელიც განსაზღვრული იქნა პროგრამის სტრუქტურაზე მათი გავლენის მიხედვით და განხორციელდება წინასწარ განსაზღვრულ ვადებში. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა პროგრამის სტრუქტურას და აღნიშნა, რომ აკრედიებულ საგანათლებლო პროგრამაში ე.წ. რადიკალური ცვლილების განხორციელება და მისი ფარგლები რეგულირდება აკრედიტაციის დებულებით. შესაბამისად, რადიკალური ცვლილებები განხორციელებას პროგრამაში, თუნდაც სტრუქტურის ცვლილებას, თუნდაც კვალიფიკაციის მინიჭებას და სხვადასხვა საკითხებს რაც შეეხება, დაწესებულება აღნიშნულის თაობაზე ადგენს თვითშეფასების ანგარიშებს, რომლებსაც ცენტრში წარადგენს 3 წელიწადში ერთხელ. აქედან გამომდინარე, რადიკალური ცვლილებების განხორციელებას პროგრამებში, და ხელახალი აკრედიტაციის პროცესს უსდ თავიდან ირიდებდა. რაც შეეხება პროგრამაში მინიმალურ ცვლილებებს, როგორიც არის ლიტერატურის განახლება, საკითხების გადაჯგუფება და ა.შ. შესაბამისად ცვლილება, რომელიც არ არის დაკავშირებული სტრუქტურის ცვლილებებთან, დაწესებულებაში მუდმივად ხორციელდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა საბიბლიოთეკო რესურსებთან დაკავშირებით და ამ კუთხით უნივერსიტეტს არ აქვს შენიშვნები. ასევე ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საგანმანათელობლო პროგრამაში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურების მიხედვით, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება, საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ, დასამტკიცებლლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. ვინაიდან, აკადემური საბჭო უნივერსიტეტში გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი ორგანოა და მას ხელმძღვანელობს დაწესებულების რექტორი, ეფექტური და ლოგიკური არ არის რომ საბოლოო დამტკიცება ხორციელდებდეს ინდივიდუალურად რექტორის მიერ, რაც ამავდროულად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ინტერესთა კონფლიქტად. ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწორედ საგანმანათლობლო პროგრამაში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურების მომწესრიგებელ დოკუმენტში არის დეტალურად აღწერილი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების მთელი ციკლი, რომელიც დაკავშირებულია დაგეგმვასთან და შემდგომ დამტკიცებასთან და ა.შ. დოკუმენტშიც გახლავთ მითითებული, რომ აღნიშნულ პროცესში ჩართულები არიან ფაკულტეტის თანამშრომლები და საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ყველა დაინტერესებული მხარეები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები და ა.შ. და ფაქტიურად ყველა ამ პროცედურის გავლის შემდეგ (არსებობს შესაბამისი ოქმები და მტკიცებულებები), საბოლოოდ წარედგინება პროგრამა დასამტკიცებლად აკადემიურ საბჭოს და საბოლოო გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების შესახებ იღებს აკადემიური საბჭო და რა

თქმა უნდა რექტორი გახლავთ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და იგი თავისი ხელმოწერით ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამას. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელი აწერს ხელს პროგრამას, მას აქვს მთელი რიგი პასუხისმგებლობები, რომელსაც საკმაოდ კარგად უმკლავდებიან.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს 15 საგანმანათლებლო პროგრამა, რაც მიღწეულ იქნა დიდი შრომის შედეგად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტების მოსაზრებას, რომ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, ვერ დაეთანხმება დაწესებულება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინტერვიუების დროს შეიძლება იყო რაიმე ისეთი პასუხი, რომელიც არ აღმოჩნდა დამაკლაყოფილებელი ექსპერტებისთვის, თუმცა, როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა, მან აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები თავიანთი ხელმოწერებით ადასტურებენ თავიანთ წილ პასუხისმგებლობას საგანმანათლებლო პროგრამის, როგორც გამართულობაზე, ასევე შინაარსზე და სტრუქტურაზე და ა.შ. აქედან გამომდინარე, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე.
რაც შეეხება კითხვარების მნიშვნელობას, ფორმებს და ფორმების რაოდენობას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყოველსემესტრულად ხორციელდება სტუდენტთა გამოკითხვები სასწავლო კურსთან, პერსონალთან, თუ რესურსებთან მიამართებაში და ა.შ. საგულისხმა, რომ სტუდენტების კმაყოფილების დონე საკმაოდ მაღალია, იგივე ითქმის დამსაქმებლების გამოკითხვასთან დაკავშირებითაც. ავტორიზაციის პროცესში დაწესებულების მიერ წარდგენილ იქნა ორი სახის კითხვარი, პოტენციური დამსაქმებლების კითხვარი და კითხავრის ანალიზი, შესაბამისი ფორმებიც იქნა გაგზავნილი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იმისათვის, რომ კვლევის შედეგები თვალსაჩინო ყოფილიყო, რაოდენობრივი მონაცემებიც იყო მითითებული. დასაქმების მაჩვენებელიც იყო კითხვარში შეტანილი სტომატოლოგიის ფაკულტეტზე, ყოველი სემესტრის შემდეგ ყოველთვის ატარებენ გადამოწმებას, კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის. ეს ინფორმაცია მუდმივად ახლდება და ყველა პროგრამის მიხედვით არის შესწავლილი ეს მაჩვენებელი დაწესებულების მიერ.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პოტენციურ დამსაქმებლებსა და დამსაქმებლებთან არ არის გაფორმებული მემორანდუმები. დაწესებულების მიერ წარდგენილ იქნა ანალიზი, იმისათვის რომ დაენახა ინსტიტუციას საგანამთლებლო პროგრამის მიმართ რა მოთხოვნები იყო შრომის ბაზარზე ან რამდენად კონკურენტუნარიანია განათლების ბაზარზე დაწესებულების პროგრამები. ეს ყველაფერი ინტერვიუებზეც იქნა გაჟღერებული. ასევე, მან ხაზი გაუსვა, რომ საკმაოდ კარგი შედეგები დაიდო ანალიზის შედეგად. ასევე, ექსპერტების პოზიციას, რომ არცერთ გარე დაინტერესებულ მხარეს, დამსაქმებელს, კურსდამთავრებულს ან სტუდენტს, რომელსაც შეხვდნენ ექსპერტები არ მიუღიათ მონაწილეობა, და ან არ ჰქონდათ ინფორმაცია, რომელიმე პროგრამის შემუშავებას, შეფასებაში ან გაუმჯობესებაში, დაწესებულება აცხადებს, რომ ახორციელებს შრომის ბაზრის ანალიზს, მაგრამ არ ჩანს, როგორ ხორციელდება მიღებული ინფორმაციის გათვალისწინება პროგრამის გაუმჯობესების პროცესებში. იგივე ეხება სტუდენტების და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევას სადაც არ არსებობს მტკიცებულება თუ როგორ ხორციელდება დაწესებულების მიერ შედეგების განხილვა ხარისხის გაუმჯობესების პროცესებში. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კვლევების ანალიზი თვითშეფასების ანგარიშთან ერთად იქნა წარმოდგენილი, ასევე დამატებითი დოკუმენტების სახითაც მოხდა მათი წარმოდგენა, გარდა ამისა, ეს ყველაფერი ინტერვიუების დროსაც იქნა აღნიშნული. აკრედიტირებულ პროგრამებს სავალდებულოდ ახლავს შრომის ბაზრის მიმოხილვაც, ანალიზიც და ზოგადად, თითოეული დაინტერესებული მხარის გამოკითხვის შედეგები. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვერ იტყოდა რომ არ ფლობდნენ ინფორმაციას სტუდენტები, ვინაიდან, პირადად მის მიერაც არაერთხელ იქნა გაგზავნილი მეილებზე, ასევე შეტყობინებების სახითაც, იყო

სატელეფონო კომუნიკაციაც კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან თუ სტუდენტებთან. ყველას მიუვიდა ბმული ყველა იმ შესაძლო საშუალების გამოყენებით, რაც შეეძლო უნივერსიტეტს რომ გამოეყენებინა.
გარდა ამისა, ექსპერტები მიუთითებენ დასკვნაში, რომ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშვებისა და განვითარების პროცესი იდენტურია ყველა პროგრამაში და გამოყენებულია ერთი და იგივე შეფასების კრიტერიუმები. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემუშავებულია საგანამანთლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც არეგულირებს შესაბამის პროცესებს დაწესებულების მასშტაბით. ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეტაპები პროგრამის დაგეგმვიდან მისი დამტკიცების ჩათვლით, ნებისმიერმა პროგრამამ აღნიშნულ მარეგულირებელი დოკუმენტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად უნდა გაიაროს, რაც სავსებით ლოგიკური გახლავთ. ასევე აღსანიშნავია, რომ თუ კი საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა მოითხოვს განსხვავებულ ეტაპებს ან შეფასების კრიტერიუმებს აღნიშნული დოკუმენტი არ ზღუდავს პროგრამის ხელმძღვანელს და მისი არგუმენტირებული მოთხოვნის გათვალისწინებით ხარისიხს უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით სავსებით შესაძლებელია დამატებითი კრიტერიუმებისა თუ სხვა ცვლილებების განხორციელება კონკრეტული პროგრამის ფარგლებში. აღნიშნულთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელი იღებს პასუხისმგებლობას, რაც დასტურდება მისი ხელმოწერით.
ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია არ ეთანხმება ექსპერტების მითითებას, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების განხორციელების საჭირობის დოკუმენტი ვერ იქნა მოპოვებული. მათ მიერ ნახსენები იქნა Covid-19 პანდემია, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით ვიზიტის დროს შეკითხვები არ დასმულა. საკმაოდ დიდი გამოწვევა იყო Covid-19, რაზედაც პასუხი სდასუ-მ ისევე როგორც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა აღნიშნულ გამოწვევას ღირესეულად უპასუხეს. შესაბამისად, საკმაოდ მარტივად გადავიდა დაწესებულება online სწავლებაზე, და დაინერგა ონლაინ კურსები, Sdasu.ini.ge, რაშიც აქტიურად უწყობდა ხელს უნივერსიტეტის და დაწესებულების პერსონალი და სტუდენტები მარტივად ადაპტირდნენ შექმნილ სიტუაციაზე და უპასუხეს ამ გამოწვევას საკმაოდ ღირსეულად. ამდენად, ყველა პროცესი გადავიდა ონლაინ რეჟიმში, მათ შორის კონფერენციებიც, სემინარებიც, დისკუსიებიც და ა.შ.
რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურას და შინაარსს, აღნიშნა, რომ გაიცა რეკომენდაციები კერძოდ, გააგრძელეთ ინსტიტუციური ძალისხმევა სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მიზნებისა და შედეგების სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების, დარგობრივი მახასიათებლის დოკუმეტთან ჰარმონიზაციისათვის, რაც უზრუნველყოფს რომ პროგრამა აკმაყოფილებს, მინიმალურ აუციებელ კომპეტენცებს და კრიტერიუმებს რომლებიც ასახულია დარგობრივ მახასიათებელში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის წევრებთან, კურიკურუმის შემქმნებებთან, დარგის ექსპერტებთან და სტუდენტების წარმოამდგენლებთან მჭიდრო კონსულტაციით, სტომატოლოგიის უმაღლესი გაანთლების დარგობრივ მახასიათებლის მიხედვით უსდ ვალდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის 2019 წლის 10 აპრილის 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწვალის სფეროების კლასიფიკატორით'' გათვალსწინებული დეტალური სფეროს დენტალური მედიცინა, შესაბამისი პროგრამები უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან მოიყვანონ შესაბამისობაში'' წინამდებარე მახასიათებლის დამტკიცებიდან 1 წლის ვადაში, გარდა საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობებისა და დოკუმენტში მითითებული დამატებით განსაზღვრული ვადებისა. დაწესებულების წარმოამდგენელმა განაცხადა, აღნიშულის შესაბამისად, უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტზე მიმდინარეობს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების ჰარმონიზაცია, სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი

მახასიათებლის დოკუმენტთან, განხილვა მიმდინარეობს ფაკულტეტის საბჭოზე, ფაკულეტის წევრების, კურიკულუმის შემქმნელების, დარგის ექსპერტების და სტუდენტთა წარმომადგენლების ჩართულობით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა და ასოცირებულმა პროფესორმა მე-4 სტანდარტთან დაკავშირებით, რომლიც შეეხება პერსონალის მართვას, აღნიშნა, რომ ამ სტანდარტის ყველა ინდიკატორი, როგორიცაა პერსონალის მართვის პოლიტიკა, მისი საჯაროდ ხელმისაწვდომობა, აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით, ასევე მათი თანაფარდობა, აფილირების წესის მარეგულირებელი დოუმენტები, უსდ-ს მიერ დანერგილი სამიზნე ნიშნულები და ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. ყოველი მათგანი უნივერსიტეტს გააჩნია და ეს ასევე აღნიშნულია დასკვნაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ექსპერეტბი აღნიშნავენ, რომ ,,უნივერსიტეტს არ აქვს ჩამოყალიბებული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული სტრუქტურირებული მიდგომა, თავად პოლიტიკა საკმაოდ ფრაგმენტირებული და ბუნდოვანია, და ხაზს უსვამს მხოლოდ ზოგად სფეროს, პრინციპების ჩამონათვალს და პრიორიტეტებს, პოლიტიკა ისეა შემუშვებული, რომ არ ითვალისწინებს წესებს და სახელმძღვანელო მითითებებს დაწესებულების თანამშრომლებისათვის და სტუდენტებისათის, რომელთა შესრულებაც აუცილებელია შესაბამისობის შესანარჩუნებლად, საქმიანობის წესები და სამუშაო ადგილის მართვის პრინციპები გაბნეულია დაწესებულების რეგულაციებში''. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის ბუნდოვანია და დასკვნის პროექტში არ არის განმარტებული თუ რის საფუძვლზე გამოიტანეს ექსპერტებმა დასკვნა, რომ უსდ-შიარ არის ჩამოყალიბებული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული სტრუქტურირებული პრინციპები. რაც შეეხება პერსონალის მართვის პოლიტიკას, ხსენებული დოკუმენტი მართლაც ატარებს შედარებით ზოგად ხასიათს. თუმცა, უნივერსიტეტში შემუშვებულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელშიც დეტალურად არის ასახული დასაკავებელი პოზიციისთვის შესასრულებელი სამუშაო, უფლება-მოვალეობები და ა.შ. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არ გახლავთ ის დოკუმენტი, სადაც დეტალურად უნდა იყოს ასახული ყველა რგოლისა თუ თანამდებობის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექსპერეტები თავადვე აღნიშნავენ, რომ დაწესებულებაში არსებობს რექტორის მიერ ხელმოწერილი ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიძია კონკრეტული პოზიციისთვის განსაზღრული მოთხოვნები. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნები განთავსებულია დაწესებულების ვერ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველასათვის, ექსპერტთა მიერ გაკეთებულ ჩამონათვალში, რაც დასკვნაშია აღნიშნული, იმ კონკრეტული თანამდებობის ფუნქცია-მოვალეობები ექსპერტთა მიერ მოთხოვნილი არ იყო.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერეტები ამახვილებენ ყურადღებას, რომ დამხარე პერსონალის და მოწვეული ლექტორების შერჩევა ხშირად ხდება ოფიციალურად გამოცხადებული ვაკანსიების გარეშე და წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების გარეშე. ასევე არ ყოფილა ექსპერტებისაგან მოთხოვნილი კონკრეტული ვაკანსიების მტკიცებულებები, რომელიც შეეძლო დაწესებულებას წარმოედგინა, რადგან ოფიციალურად იდება ყოველთვის შესაბამის ვებ-გვერდზე.
დაწესებულების წარმომადგენელი მიუთითებს, ,,უმაღლესი განათების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-40 მუხლზე და აღნიშნავს, რომ დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია იმ კანონით გათვალისწინებული აკადემიური და მასწავლებლის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიპიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან სამეცნიერო კვლევით პროცესში

მონაწილეობის ან პროცესის წარმართვის მიზნით. გამომდინარე ზემო აღნიშნულიდან უსდ მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად,-. რაც შეეხება პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებს, იგი დგინდება მაშინ, როდესაც წარმოიქმნება დამატებითი სპეციალისტის მოწვევის აუცილებლობა. ასევე საგულისხმოა,რომ ტექსტში შესაძლებელია შევხვდეთ გარკვეულ შეუსაბამო დეტალებს, მაგალითად - ექსპერტები აღნიშნავენ, რომ არ არსებობს მკაფიო პოლიტიკა პერსონალის განვითარების საჭიროების იდენტიფიცირებისთვის, არც მათი დარგის ან კვლევის მიმართულებით. ამასთან ერთად აღნიშნულია, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია შემდეგ პრიორიტეტებზე: პერსონალის შერჩევა, ჩართულობა, მართვის ანგარიშ-ვალდებულების გაძლიერება, საქმიანობის შეფასება და კარიერული განვითარება, შეფასების და პერსონალის შეფასების შენარჩუნების სისტემის შემუშავება, პერსონალის სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა, პროფესიული განვითარების სისტემის შემუშავება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განამრტა, რომ აკადემიური, სამეცნიერო მოწვეული პერსონალის შეასების წესების შესაბამისად, განსაზღვრულია სწავლების კვლევითი და შიდა საუნივერსიტეტო საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები. დაწესებულებამ აღნიშნა რომ მათთვის გასაკვირი იყო მათი პერსონალის კომპეტენცია ექსპერტების მიერ ეჭვქვეშ დაყენება, რადგან დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათი აკადემიური პერსონალი დასაქმებულია სხვადასხვა უნივერსიტეტებში და აქედან გამომდინარე მათი კვალიიკაციის ეჭვქვეშ დაყენება მათთვის ცოტა გაურკვეველია. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ადამიანური რესურსების განვითარების საქმიანობის შეფასების ფუნქციები მიმოფანტულია სამ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სამეცნიერო-კვლევითი უწყვეტი განათლების ცენტრი. ამასთან დაკავშირებით დაწესებულებამ ასევე განმარტა,რომ თითოეულ აღნიშნულ სტრუქტურას გააჩნია შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები შესაბამისი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომლის შედეგებიც გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტების ხელმძღვანელობას. გამომდინარე აქედან, ექსპერტები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დეკანები და პროგრამის ხელმძღვანელები წყვეტენ პერსონალის განვითარების საჭიროებებს. პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, უნივერსიტეტი აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა სემინარებს, ტრენინგებს, მათ შორის ფასიან ტრენინგულ სერვისს, სასწავლო სასერთიფიკატო კურსების ორგანიზებას და შეთავაზებას. პერსონალის განვითარებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმაში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელი ასევე აღნიშნავს, რომ ამ ეტაპისთვის მიმდინარეობს მათ ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა და დახვეწა და ვარაუდობენ რომ მათი გეგმა დამტკიცდება განსაზღვრულ ვადაში - 2024 წლის დეკემბერში. ექსპერტები ასევე აღნიშნავენ, რომ ფიქსირდება უზუსტობები მოთხოვნილ კვალიფიკაციასა და თანამშრომლების პროფილებს შორის, განსაკუთრებით ინგლისურის ენის კომპეტენციასა და შესაბამის გამოცდილებასთან დაკავშირებით. თავისი ინსტიტუციური მისიის შესაბამისად, უნივერსიტეტი ცდილობს გაზარდოს შესაბამისი განზომილება, თუმცა არსებულ პერსონალს, როგორც ადმინისტრაციულს, ასევე აკადემიურს არ აქვს ინგლისური ენის საკმარისი ცოდნა, რასაც მოწმობს მათი რეზიუმეები და ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებები. წარმომადგენლის თქმით საერთოდ გაუგებარი იყო თუ რატომ უნდა ესაუბრათ მათ პერსონალს ინტერვიურებაზე ინგლისურ ენაზე, თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში ამ მოთხოვნასაც დააკმაყოფილებდნენ, რადგან მათი თანამშრომლების დიდი ნაწილი საუბრობს ინგლისურ ენაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით გაერთიანებული ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო ენებად ითვლება: ინგლისური, ესპანური, რუსული, არაბული და ფრანგული

და ბოლო პერიოდში დაემატა ჩინური. შესაბამისად პერსონალს თუ სტუდენტს აქვს თავისუფალი არჩევანი უცხო ენის სწავლის შემთხვევაში. საყურადღებოა ისიც, რომ არც ავტორიზაციის სტანდარტები არ არის გათვალისწინებული - ინგლისური ენის ცოდნის თვალსაზრისით. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს, როგორც ფასიან ისე უფასო კურსებს, რაც უნივერსიტეტის პედაგოგებმაც დაადასტურეს, რაც აღნიშნულია ექსპერტთა დასკვნაში.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებას არ გააჩნია შესაძლებლობა, რომ დაწესებულებაში მომუშავე პერსონალის მიერ ეფექტურად წარიმართოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პროცესები და მიაღწიოს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით დასკვნის პროექტის ანალიზის შედეგად ნათელი ხდება, რომ მათი მხრიდან წარმოდგენილია ყველა საჭირო დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამდენად დაწესებულებას უჩნდება შთაბეჭდილება, რომ ექსპერტების მიერ გამოხატული დასკვნები უმთავრესად ეყრდნობა ინტერვიუს შედეგებს, მაშინ როდესაც მათი აზრით ინტერვიუ წარმოადგენს ერთ-ერთი კომპონენტს ავტორიზაციის პროცესში.

მათი აზრით გარკვეულმა რესპოდენტებმა ვერ შეძლეს ამომწურავი პასუხის გაცემა, რადგან მოწვეულ პერსონალს არ ეკისრება ვალდებულება ზედმიწევნით კარგად იცნობდეს ყველა მარეგულირებელ აქტს, თუმცა დაინტერესების შემთხვევაში შეუძლიათ გაეცნონ შესაბამის დოკუმენტაციას, რეგულაციებს, რომლების განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე.

დასკვნაში ექსპერტები ასევე აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტს მიღებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი და პროგრამის მიხედვით აკადემიური მოწვეული პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია-დატვირთვის სქემა რეგულარულად ახლდება და ითვალისწინებს პროგრამისა და კურსის შინაარს,სპეციფიურობას,სტუდენტთა რაოდენობას და ინფრასტრუქტურის შესაძლებლობას. აფილირებული პერსონალისთვის უნივერიტეტს განსაზღვრული აქვს დატვირთვის მართვის სისტემა, რომელიც განსხვავდება აკადემიური თანამდებობების მიხედვით. სქემა მოიცავს სწავლებას სამეცნიერო, კვლევით, შემოქმედებით და სხვა სახის სამუშაო დატვირთვას.

აკადემიური პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები იზომება საათებით და განისაზღვრება თითოეული თანამშრომლისთვის. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ექსპერტთა ჯგუფა არ მოუთხოვია რაიმე სახის მეთოდოლოგია ან სტრატეგია, როგორც მოკლე ასევე გრძელვადიანი სამიზნე ნიშნულების მისაღწევად რომ იქნებოდა საჭირო. ექსპერტთა ჯგუფმა სათანადოდ გამოავლინა უნივერსიტეტის მიერ პერსონალისთვის განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები, რათა მათ ეფექტურად შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი შემოქმედებითი, საშემსრულებლო აქტივობების ჩატარება. ვინაიდან პერსონალის საქმიანობის შესრულების შეფასება და მიმოხილვა არ არის არც თანმიმდევრული და არც ყოვლისმომცველი. ექსპერტების აზრით სდასუს ასევე აკლია თანამშრომელთა საქმიანობის ეფექტურობის მკაფიო სამიზნე ნიშნულები. დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამიზნე ნიშნულები,რომელიც ასახულია სამოქმედო გეგმებში. გამომდინარე იქედან,რომ სამიზნე ნიშნულები არ არის სტატიკური მაჩვენებლები და ისინი მუდმივად იცვლება კვლევებისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით. დაწესებულების წარმომადგენლები ეთანხმებიან ექსპერტებს,რომ მათი განახლება აუცილებელია, რადგან უფრო მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რასთან დაკავშირებითაც უნივერსიტეტს აქვს ჩამოყალიბებული გეგმა და გააჩნია რესურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მე-6 სტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებში იგი არ ეთანხმება და მისთვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა შეიტანონ ცვლილებები უკვე აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებში, თუმცა აქვე დასძინა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება მუდმივად ზრუნავს ხარისხის გაუმჯობესებაზე და შესაბამისად მუდმივად ავითარებენ მათ. მან კვლევითი პრიორიტეტების შესახებ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ასევე განაცხადა, რომ უნივერსიტეტში არსებობს 4

ფაკულტეტი და აქედან გამომდინარე შეუძლებელია კვლევის მხოლოდ ერთი პრიორიტეტის განსაზღვრა, რადგან თითოეული ფაკულტეტი თავად ირჩევს კვლევის მიმართულებას. მისი მოსაზრებით კვლევის ძირითადი პრიორიტეტის განსზღვრა ფაკულტეტებს არათანაბარ უფლებებს ანიჭებს, რასაც დაწესებულება არ ეთანხმება.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმოამდგენელმა ასევე კომენტარი გააკეთა დოქტორანტების ჩარიცხვასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით მიუღებელია ექსპერტთა მოსაზრება, რომ უსდ-ში დოქტორანტები ირიცხებიან კონკურსის წესის გარეშე. მათთვის გაუგებარია თუ რა დოკუმენტაციის/ინფორმაციის საფუძველზე მოვიდნენ ამ დასკვნამდე.
უნივერსიტეტის წარმომადგენლმა ასევე განმარტება გააკეთა მე-4 რეკომენდაცისთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ სდასუ-ს კვლევითი ცენტრის დახმარებით დაწესებულების პროფესორმა უკვე მეორედ მოიპოვა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსება და ამ ნაწილში სრული მხარდაჭერა ჰქონდა მას სდასუ-ს კვლევითი ცენტრისა. შესაბამისად, მისთვის ბუნდოვანია თუ მეტად როგორ უნდა გაიზარდოს ამ კვლევითი ცენტრის ჩართულობა, თუმცა სამომავლოდ ამ საკითხთან დაკვაშირებით იმსჯელებენ.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მეთოდურ და პროაქქტიკულ მხარდაჭერას უწევს, როგორც პერსონალს, ასევე დოქტორანტებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თუ დოქტორანტს გამოქვეყნება არ ექნება „სკოპუსში“ იგი ვერ დაიცავს დისერტაციას. მან აღნიშნა, რომ ცხრილი, თუ რომელმა დოქტორანტმა სად გამოაქვეყნა ნაშრომი და როდის მიაწოდეს ექსპერტებს და მისთვის გაუებარია „სკოპუსის“ მეტი რომელ სამეცნიერო ჟურნალებში შეიძლება მოითხოვონ გამოქვეყნებები.
მან ასევე განმარტება გააკეთა მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს უამრავი კვლევითი ლაბორატორია აქვს: სტუმატოლოგიური კლინიკა, იმიტირებული სასამართლო დარბაზი, ლიცენზირებული ტელევიზია, 2 ჰისტოლოგიის ლაბორატორია, ანატომიის ლაბორატორია, ოთახი სახელობით კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი და ბიოქიმიის ლაბორატორია. გარდა, ამისა უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმები უცხოურ უნივერსიტეტებთან, კვლევით ცენტრებთან, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მან ასევე განაცხადა, რომ ექსპერტთა მიერ გამოთქმული მოსაზრება პერსონალის უცხო ენების ცოდნასთან დაკაშირებით მისთვის მიუღებელია. მე-7 რეკოემენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მოთხოვნილი სია წარმოდგენილი იყო დანართებში და მათთვის გაუგებარია მონაცემების რა ტიპის დახარისხებას ითხოვენ ექსპერტები.
დაწესებულების წარმომადგენემა ინგლისური ენის ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელმა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით დამატებით აღნიშნა, რომ პერსონალის შერჩევისა განხორციელდა კანონის შესაბამისად. როდესაც საჭიროება იყო პერსონალის დამატების, გამოცხადდა შესაბამისი ვაკანსია, განხილულ იქნა შედეგები და შესაბამისად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება.
რაც შეეხება პროგრამებთან დაკავშირებით გარკვეულ საკითხებს, აღნიშნა რომ აკრედიტაცია გავლილი აქვს აღნიშნულ პროგრამებს და ეხლა დგება დრო ანგარიშის წარდგენისა. შესაბამისად უნივერსიტეტის პერსონალი სრულად აცნობირერბს რას ნიშნავს ხარისხის, PDCA ციკლი სრულად გააზრებული აქვთ. რაც შეეხება სტუდენტების ჩართულობას, პრაქტიკა რომ პროგრამაში დაემატა, იყო რომ სტუდენტებთან აქტიური კომუნიკაციის შედეგი. აქვე საუბარი იყო პერიოდულობასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის განახლება ხდება სტუდენტებთან და პროფესორებთან ინტერვიურების შედეგების საფუძელზე. ექსპერტებიც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საუბარი იყო აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის საკითხზე. მას გაუკვირდა მოცემული შეფასება, რადგან ექსპერტების შეხვედრა რომ იყო აკადემიურ პერსონალთან წარმოდგენილი აკადემიირ პერსონალი თითქმის ნახევარი ესაუბრებოდა ექსპერეტებს ინგლისურ ენაზე. რაც შეეხება

კვლევასთან დაკავშირებით, იყო საუბარი რომ ცენტრი მოქმედებს ორგანიზაციული კუთხით, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან კვლევითი ცენტრიდან ხშირი პერიოდულობით მოდის ინფორმაცია შიდა გრანტებსა და კვლევებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს აკადემიურ პერსონალთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეოთხე სტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ ,ექსპეტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ დაწესებუელბას არ გააჩნია შესაძლებლობა უზრუნველყოს რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი შეძლებს ეფექტურად მართოს საგანმანათლებლო სამეცნიერო და ადმინისტრაციული პროცესები, და მიაღწიოს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სწავლების პროცესი, მოიცავს როგორც ბუნებრივ ასევე ხელოვნურ რისკებს, და ეს რისკები არის მინიმუმამდე დაყვანილი დაწესებულებაშ, ასევე აღნიშნა რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს პირველი ლიცენზირებული ტელევიზია, სადაც მრავალ ჟურნალისტებს შუეძლიათ მედია პროდუქტი შექმნას, ასევე აღნიშნა, რომ აქვს სრული აკადემიური და შემოქმედებითი თავისუფლება იმისათვის, რომ განახორციელოს თავისი საქმიანობა და ასევე მიაჩნია, რომ ექსპერტების ამ შეფასებას უნივრსიტეტში არსებული პროფესურა არ იმსახურებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმება შეფასებას და აღნიშნავს, რომ დაწესებულებაში არის ის პიობები და მატერიალური ბაზა, რომელიც ხელს უწყობს პერსონალს და სტუდენტებს, განახორციელონ თავიანთი საქმე. მან ასევე აღნიშნა, რომ სდასუ იძლევა შესაძლებლობებს განვითარებისა, როგორც საერთაშორისი, ასევე ადგილობრივ დონეზე. უნივერსიტეტის წარმომადგენლმა ასევე აღნიშნა, რომ ტელევიზიის არსებობა დაწესეულებაში იძლევა შესაძლებლობას, რომ სდასუს პოტენციალი უფრო მეტად იქნას განვითარებული.

რაც შეხება ინტერნაციონალიზაციის პროცესს, დაწესებულება ფიქრობს ამ საკითხზე და არის გეგმაში, რომ უცხოენოვანი პროგრამაც დაინერგოს, რაც ასევე მეტ მოტივაციასაც გააჩენს უნივერსიტეტში.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს რამოდენიმე კვლევითი ლაბორატორია, ასევე ხელშეკრულებები არის გაფორმებული რამოდენიმე კვლევით ლაბორატოირასთან, სადაც საჭიროების შემთხვევაში სტუდენტები იქნებიან მივლინებულები.

მეშვიდე სტანდართთან მიმართებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმააღნიშნა, რომ დასკვნაში საუბარი იყო უნივერსიტეტში ცენტრალური გათბობის არ არსებობსი თაობაზე, შესაბამისად გაუგებარია, რომ რაზე დაყრდნობით გააკეთა ეს დასკვნა ექსპერტმა. ასევე აღნიშნა დაწესებულების წარმომადგენელმა, რომ დაწესებულებაში ასევე არის კონდიცირების სიტემა, აღნიშნა რომ მერიის არქიტექტურის სამსახურის მითითებით გამოდინარე იქედან რომ ფასადის ერთიანობა ირღვეოდა, გარკვეულ აუდიტორიებში იქნა მოხსნილი კონდიცირების სიტემა, თუმცა გამოიძებნა ალტერნატიული გზა გაგრილების. ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროსაც იქნა მათთვის გაცხადებული, რომ მთლიანი უნივერსიტეტის ადაპტირება სსსმ პირებისთვის მოხდებოდა მალე, დაწყევბეულია მოლაპარაკებები და მალე დასრულდება ეს პროცესი. ასევე დააამტეს დაწესებულების წარმოგენელება რომ მსგავსად გათბობის სიტემის არ ქონისა ასევე არ შეესაბამება სიმართლეს აუდიტორიებში პროექტორების არ არსებობის საკითხი. რაც შეეხება ფინანსურ რესურსებს, ასევე აღნიშნა რომ უსდ-ს მატერიალური ტექნიკური ბაზა საკმაოდ მრავალფეროვანი აქვს და შესაბამისი ფინანსური რესურსიც.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები

საბჭოს წევრ გაიანე სიმონიას კითხვა ჰქონდა ექსპერტებთან, მან აღნიშნა, რომ რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ გარკვეული მისკომუნიკაცია იყო ექსპეტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს შორის, შესაბამისად, მას აინტერესებდა ჰქონდა თუ არა ინფორმაცია ექსპერტებს იმის შესხებ, რომ ისინი აანალიზებდნენ ახალი სტრატეგიული გეგმის პროექტს და

არა მოქმედ სტრატეგიულ გეგმას, მისცეს თუ არა დაწესებულების წარმომადგენლებმა მათ ინფორმაცია, თუ სტრატეგიული გეგმის რომელ დოკუმენტს უნდა დაყრდნობოდნენ. საბჭოს წევრის მეორე კითხვა ექსპერტების მიმართ ეხებოდა სტომატოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის სტანდარტს. მას აინტერესებდა მიაწოდა თუ არა დაწესებულების პერსონალმა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აღნიშნული პროგრამის შესრულების ვადა გაწერილია. ასევე აინტერესებდა, კადრების დატვირთავაზე და პერსონალზე ხომ არ ხელმძღვანელობდნენ ექსპერტები სრული განაკვეთის ექვივალენტით, თუ მათ გამოიყენებს საქართველოს შრომის კანონმდებლობა.

ექსპრეტმა ელენე გიგინეიშვილმა, სტომატოლოგიის პროგრამის დარგობრივ სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გაცემული იყო რეკომენდაცია შემდეგი ფორმულირებით, რომ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი აღნიშნული ეტაპების განსახორციელებლად.

ექსპერტთა თავმჯდომარემ, საერთაშორისო ექსპერტმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი იყო სტრატეგიის ორი დოკუმენტი - 2018-2024 და 2025-20231 წლამდე, ორივე დოკუმენტში საწყის გვერდზე იყო ერთი და იგივე სიტუაცია, ველი სადაც უნდა იყოს მითითებული დამტკიცების წელი და ხელმოწერა, არის ცარიელი. აღნიშნულის შესახებ დასკვნაშიც იქნა აღნიშნული. ეს ვრცელდება ყველა პოლიტიკის დოკუმენტზე, რაც ექსპერტებმა მიიღეს, არსად ირკვევა როდის მოხდა დამტკიცება და ვის მიერ.

საბჭოს წევრმა ზვიად კირთავამ დამაზუსტებელი კითხვა დასვა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, კერძოდ, მას აინტერესებდა არსებული ორივე დოკუმენტი არა მხოლოდ იმ ნიშნით იყო მსგავსი, რაც აღნიშნა, თუ შინაარსობრივადაც მსგავსნი იყვნენ ისინი. რაზედაც, ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხი შინარსობრივ მსგავსებას არ მიემართებოდა, არამედ დოკუმენტის სტატუსს, იყო დოკუმენტი პროექტი თუ საბოლოოდ დამტკიცებული ვერსია. ორივე დოკუმენტის თავფურცელი, სადაც განისაზღვრება დოკუმენტის იურიდიული სტატუსი იყო იდენტური და არ იძლეოდა ინფორმაციას.

საბჭოს წევრმა ზვიად კირთავამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას, თუ მიაწოდეს ექსპერტებს სწორად ინფორმაცია სტარტეგიული გეგმის მოქმედი დოკუმენტისა და პროექტის შესახებ, ასევე ექსპერტებსაც მიმართა კითხვით, იცოდნენ თუ არა, რომ დრაფტი იყო წარმოდგენილი.

საერთაშორისო ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ ნამდვილად ახსენა, რომ ერთ-ერთი მათგანი იყო დარაფტი, მაგრამ უსდ-მ თავად აირჩია, რომ დრაფტი წარმოედგინა თვითშეფასების ანგარიშთან ერთად ექსპერტების მიერ შესაფასებლად. თუ დაწესებულებას სურვილი ჰქონდა, რომ შეფასება განხორციელებულიყო სტრატეგიული გეგმის დოკუმენტის მოქმედ ვერსიაზე დაყრდნობით, მაშინ მხოლოდ ეს უკანასკნელი უნდა წარმოედგინა ექსპერტებისთვის, მაგრამ მათ დრაფტი წარმოადგინეს, როგორც რელევანტური დოკუმენტი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი იმყოფებოდა შესაბამის სესიაზე, როდესაც დაესვა კითხვა სტრატეგიული გეგმის პროექტთან დაკავშირებით და სწორედ მან გასცა ამ კითხვას პასუხი. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ გაგზავნილ იქნა ორივე დოკუმენტი, ვინაიდან მოქმედ გეგმას ვადა გასდიოდა 2024 წლის დეკემბერში. დაწესებულება ეხლაც მუშაობს ახალი გეგმის პროექტზე, ოქმებით დასტურდება ისიც რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში ჩართულია თხუთმეტივე აკრედიტირებული პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარე, სტუდენტიც, კურსდამთავრებულიც, პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიც და ყველა სტრუქტურული ერთეული დაწესებულების. პროექტი უკვე გულსხმობდა იმას, რომ ეს არ იყო საბოლოო დოკუმენტი. პროექტზე მუშაობა გრძელდება და დამტკიცდება 2024 წლის დეკემბერში. ხაზგასმით იქნა დაწესებულების მიერ აღნიშნული, რომ ეს იყო პრექტი. რაც შეეხება ხელმოწერებს, ხელმოწერილი დოკუმენტები ატვირთულია ვებ-გვერდზე.

საერთაშორისო ექსპერტმა კიდევ ერთხელ გაიმეორა ზემოთ თქმული, რომ უსდ-მ თავად აირჩია, რომ დრაფტი წარმოედგინა თვითშეფასების ანგარიშთან ერთად ექსპერტების მიერ შესაფასებლად. თუ დაწესებულებას სურვილი ჰქონდა, რომ შეფასება განხორციელებულიყო

სტრატეგიული გეგმის დოკუმენტის მოქმედ ვერსიაზე დაყრდნობით, მაშინ მხოლოდ ეს უკანასკნელი უნდა წარმოედგინა ექსპერტებისთვის, მაგრამ მათ დრაფტი წარმოადგინეს, როგორც რელევანტური დოკუმენტი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. გარდა ამისა, დაამატა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს როდესაც ექსპერტებმა ითხოვეს იმის დამამტკიცებელი ინფორმაციის მიწოდება, რომ სხვადასხვა ერთეულები თუ დაინტერესბული პირები ჩართულნი იყვნენ სტრატეგიული გეგმის შემოუშავების პროცესში, ვერავინ შეძლო რაიმე დამატკიცებელი ინფორმაციის/დოკუმენტის წარმოდგენა, რომ ისინი ნამდვილად იყვნენ ჩართულნი ამ პროცესი. ექსპერტმა განმარტა, რომ ერთია, რომ თეორიულად აცხადებ ჩართულობის შესახებ და მეორეა ამ ჩართულობის დამამტკიცებელი დოკუმენტის არსებობა. საერთაშორისო ექსპერტმა დასასრულს განაცხადა, რომ არანაირ ფაქტობრივ შეცდომებს ადგილი არ ქონია მათი მხრიდან. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დამატებით აღნიშნესა, რომ რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, ვიზიტის დროს ატვირთული იყო 2017 წლის სამოქმედო გეგმა.

საბჭოს წევრ სერგო ჭელიძეს 24 და 26 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ჰქონდა კითხვა ექსპერეტებთან, რომელიც შეეხება ეთიკის კოდექსის, მის გავრცელებას სხვადასხვა საშულებით. მას აინტერესებდა, იყო თუ არა ვებ-გვერდზე ატვირთული კოდექსი, იცნობდნენ თუ არა სტუდენტები მას და ეთიკის ნორმების დარღევისთვის მოსალდნელი შედეგების შესახებ თუ იყვნენ ინფორმირებულნი. მას აინტერესებდა რა იყო საფუძველი აღნიშნული რეკომენდაციისა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს ეთიკის კოდექსი იყო ატვირთული ვებ-გვერდზე. დაწესებულების წარმოამდგენელმა გიორგი სართანიამ განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით კითხვები ინეტვიურებაზე მასაც დაუსვეს, თუ როგორ აცნობენ სტუდენტებს ინფორმაციას ეთიკის კოდექსის შესახებ. მისი განცხადებით, მათ ექსპერტებს დეტალურად აუხსნეს, თუ როგორ აცნობენ ეთიკის კოდექსს ახალ დასაქმებულებს, სტუდენტებს, რომ ის ატვირთულია ვებ-გვერდზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:18 სთ.
დასრულების დრო: 18:40 სთ.

საავტორიზაციო განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ ცენტრისათვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და რჩევები, თუმცა სტანდარტების შეფასების ნაწილში შეიტანა ცვლილები, კერძოდ, 2.1 კომპონენტის შეფასება ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც - ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რამაც გამოიწვია მთლიანად მე-2 სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. 3.1 კომპონენტის შეფასება ნაცვლად ,,არ არის სშესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რამაც გამოიწვია მთლიანად მე-3 სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. 4.1 კომპონენტის შეფასება ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რამაც გამოიწვია მთლიანად მე-4 სტანდარტის შეფასების ცვლილება და

ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რადეონობის 1 400-ით განსაზღვრის და სტუდენტთა მიღების უფლების 3 წლის ვადით შეზღუდვის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 2 4
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის 2^1 პუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^2 -ე მუხლის 3^1 პუნქტის, 56^3 -ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „დ“ და ,,ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს (ს/კ: 204886454) მიენიჭოს ავტორიზაცია (დაწესებულების სახე - უნივერსიტეტი) 6 წლის ვადით, 3 წლის ვადით სტუდენტთა მიღების უფლება შეზღუდვით. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 400 -ით.
აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის 2024 წლის 13 სექტემბერს.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
1. უზრუნველყავით ინსტიტუციის მიერ გამოქვეყნებული და გავრცელებული მისიის ყველა ვერსიის თანმიმდევრობა.
2. ჩაასწორეთ მისიის ფორმულირება ისე, რომ იგი ხაზს უსვამდეს დაწესებულების როლს ადგილობრივ და/ან გლობალურ კონტექსტში, ასევე დაწესებულების მახასიათებლებს მისი ტიპისა და საქმიანობის (პროფილი) გათვალისწინებით.
3. მოახდინეთ სტრატეგიული დაგეგმვის ციკლის ყველა ეტაპზე პასუხისმგებლობების დელეგირების მკაფიო დეფინიცია და სისტემატიზაცია, მათ შორის, ანგარიშგების განვითარება, განხორციელება და მონიტორინგი და ასევე, ანგარიშვალდებულების ურთიერთიერთობები.
4. გადახედეთ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების სტრუქტურას ინსტიტუციური მიზნების ეფექტური რეალიზაციისთვის (მაგ., რამდენად გაზომვადია მიზნები და ამოცანები, ანგარიშვალდებულება, რესურსები და ა.შ.);
5. უზრუნველყავით სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების განხორციელება სამოქმედო გეგმის კომპონენტებთან, ჩართულ შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, მონიტორინგისა და ანგარიშგების ციკლურობასთან დაკავშირებით;
6. დარწმუნდით, რომ სტრატეგიული გეგმის განხორციელებას ყოველთვის მოსდევს ოფიციალურად დამტკიცებული სამოქმედო გეგმა.
7. გაზარდეთ შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლობა და ჩართულობა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში.
8. გადახედეთ და დააზუსტეთ ფაკულტეტის საბჭოს, როგორც სდასუ-ს მმართველი ორგანოს, როლი და დეტალურად განსაზღვრეთ მისი კომპეტენციები.
9. უზრუნველყავით და ხელი შეუწყვეთ სტუდენტური თვითმმართველობის გაძლიერებას, რაც მას სტუდენტთა ავტონომიურ და დამოუკიდებელ ხმად აქცევს.

10. საფუძვლიანად გაიაზრეთ ანგარიშვალდებულების ცნება და გამოიყენეთ იგი პრაქტიკაში ოფიციალურად განსაზღვრულ ფუნქციებთან ერთად, რათა სტრუქტურულმა ერთეულებმა ეფექტურად და კოორდინირებულად განახორციელონ თავიანთი ფუნქციები;
11. განაახლეთ დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული ორგანიზაციული სტრუქტურა, რათა იგი ზუსტად ასახავდეს ინსტიტუციურ მოწყობას;
12. კიდევ ერთხელ გადახედეთ ორგანიზაციულ სტრუქტურას, რათა გარანტირებულ იქნას მისი ადეკვატურობა სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული აქტივობების ეფექტური განხორციელებისთვის, განსაკუთრებით უფლებამოსილების დელეგირების, პასუხისმგებლობების ალოკაციისა და ანგარიშგების იერარქიის თვალსაზრისით;
13. უფრო ფართოდ წარმოადგინეთ მმართველი ორგანოების არჩევის/ დანიშვნის რეგულაციები, ისე, რომ მოიცავდეს დაწესებულების ყველა მმართველ და აღმასრულებელ ორგანოსა და როლს, ამასთანავე, შეიქმნას შერჩევის გამჭვირვალე, პროგნოზირებადი და ობიექტური სისტემა;
14. შეიმუშავეთ და დანერგეთ დოკუმენტაციის ოფიციალური დამტკიცების მექანიზმი, რომელიც ასევე მოიცავს იმის აღრიცხვას, თუ ვინ და როდის იღებს დოკუმენტს;
15. გაზარდეთ საერთაშორისო ჩართულობა და ინტერნაციონალიზაციის შედეგების ინტეგრაცია დაწესებულების საქმიანობაში, მათ შორის უფრო მრავალფეროვანი, კოორდინირებული და მიზანმიმართული ურთიერთგაგების მემორანდუმები;
16. გადახედეთ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას, რომ გქონდეთ SMART მიზნები.
17. მოახდინეთ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალის ოპტიმიზაცია და გამოყავით ადეკვატური ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსები ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტური განხორციელების მიზნით;
18. სისტემატურად გამოიყენეთ ინსტრუმენტი, რომელიც ორიენტირებულია ყველა შიდა და გარე დაინტერესებული მხარის კმაყოფილების შეფასებაზე სდასუ-ში განხორციელებულ პროგრამებთან მიმართებაში;
19. გაზარდეთ კვლევითი აქტივობების შედეგების ხილვადობა აკადემიურ წრეებში კონსოლიდირებული მონაცემების პუბლიკაციის გზით;
20. გადახედეთ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშვალდებულების მექანიზმებს კმაყოფილების კვლევების შემუშავების, ანალიზისა და ვალიდაციის პროცესებთან მიმართებაში;
21. უზრუნველყავით გამოკითხვების მონაცემების უწყვეტობა და შედარება გამოკითხვის უკეთესი ფორმების საშუალებით.
22. უზრუნველყავით ხარისხის უკუკავშირის ციკლის დასრულება გამოკითხვის მონაცემების შემდგომი მიზანმიმართული ანალიზითა და შესაბამისი ზომების განხორციელებით; დაინტერესებული მხარეების უკუკავშირზე რეაგირების მიზნით განხორციელებულმა ღონისძიებებმა შესაძლოა ასევე გაზარდოს გამოკითხვების სანდოობა;
23. გააძლიერეთ ინსტიტუციური ინიციატივები დაწესებულებაში ხარისხის კულტურის კულტივაციის მხარდასაჭერად;
24. გაავრცელეთ ეთიკის კოდექსი, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპები ინსტიტუციური საკომუნიკაციო არხების, მათ შორის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით;
25. უზრუნველყავით აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ისევე როგორც სტუდენტების ინფორმირებულობა პლაგიატის პრევენციის პოლიტიკისა და მისი შესაბამისობის შესახებ, რაც გულისხმობს მსგავსების დასაშვებ კოეფიციენტს, პლაგიატის შემთხვევაში სანქციებსა და მათ შედეგებს, პლაგიატის გამოვლენის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას;
26. გაავრცელეთ ინფორმაცია ეთიკური პრინციპების დარღვევისთვის სანქციების შესახებ;
27. განმარტეთ და დაამკვიდრეთ ინტერესთა კონფლიქტის ცნება;
28. უზრუნველყავით სტუდენტთა ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში;

29. გადახედეთ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას უფრო სტრუქტურირებული, გამჭვირვალე და პროგნოზირებადი სისტემა, პროგრამის განხილვის წინასწარ განსაზღვრული ვადების ჩათვლით;
30. მოახდინეთ მოდიფიკაციების ტიპოლოგიზაცია, რომლებიც შესაძლოა განხორციელდეს პროგრამის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე;
31. გააძლიერეთ აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება პროგრამების მართვის სფეროში;
32. გააძლიერეთ გარე დაინტერესებული მხარეების/ დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების ინტეგრაცია პროგრამის მართვასა და მის სრულ ციკლთან დაკავშირებულ პროცესებში;
33. რეკომენდებულია, დაინერგოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობის მკაფიო პროცესი, რომელიც იქნება გამჭვირვალე, ეცნობება ყველა დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელებს და აკადემიურ პერსონალს, ექნება მკაფიო იურისდიქცია, პოლიტიკა და შეხვედრები გაიმართება რეგულარულად, ანუ უფრო ხშირად, ვიდრე სემესტრში ერთხელ.
34. გააგრძელეთ ინსტიტუციური ძალისხმევა სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის მიზნებისა და სწავლის შედეგების ჰარმონიზაციისთვის სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტთან, რაც უზრუნველყოფს, რომ პროგრამა აკმაყოფილებს მინიმალურ აუცილებელ კომპეტენციებსა და კრიტერიუმებს, რომლებიც ასახულია დარგობრივ მახასიათებელში, ფაკულტეტის წევრებთან, კურიკულუმის შემქმნელებთან, დარგის ექსპერტებთან და სტუდენტთა წარმომადგენლებთან მჭიდრო კონსულტაციით;
35. შეიმუშავეთ პერსონალის მართვის ყოვლისმომცველი პოლიტიკა ადამიანური რესურსების ოფიციალურად განსაზღვრის, შეთანხმების და მართვის მიზნით, ასევე, უზრუნველყავით პერსონალის ჩართულობის კულტურის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი წარმოდგენის ხელშეწყობა;
36. განახორციელეთ დაქირავების გამჭვირვალე და კონკურენტული პროცესი ინფორმაციის არხების, შერჩევისა და შეფასების წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების გამოყენებით.
37. უზრუნველყავით ადამიანური რესურსების პროცესების თითოეულ ეტაპზე დოკუმენტაციის სკრუპულოზური წარმოება, მათ შორის, შერჩევა, შეფასება, მონიტორინგი, მინიჭება;
38. განახორციელეთ პროფესიული განვითარების საჭიროებათა იდენტიფიკაციის მკაფიო სტრატეგია, ამ მიმართულებით გამოყოფილი საკმარისი დაფინანსება ან წახალისების სისტემა მუშაობის მოტივაციისთვის;
39. დანერგეთ პროფესიული განვითარების აქტივობების გავლენის შეფასების პროცესი ინვესტიციების ეფექტურობის შესაფასებლად და ამ სფეროში შემდგომი აუცილებლობის გათვალისწინების მიზნით;
40. განახორციელეთ მართვისა და მონიტორინგის პროცესის გადახედვა მისი სისტემატიზაციის, ორგანიზაციულ სტრუქტურაში იერარქიული სუბორდინაციის, უწყვეტობის უზრუნველყოფისა და ხარისხის განვითარების მიზნით;
41. განახორციელეთ მუშაობის თანმიმდევრული მიმოხილვა პერსონალის ყველა წევრისთვის, რომელიც აქცენტს აკეთებს შესრულების დაკვირვებად, გაზომვად და ობიექტურ შედეგებზე და შეესაბამება ინდივიდუალურ, გუნდურ და საერთო ორგანიზაციულ მიზნებს. ის ასევე განსაზღვრავს პროცესში ჩართული თითოეული სტრუქტურული ერთეულის როლსა და პასუხისმგებლობას;
42. გაითვალისწინეთ შესრულების შეფასების შედეგები პერსონალის პროფესიული განვითარების კონტექსტში და შეიმუშავეთ მიზნობრივი და შესაბამისი რეაგირების მექანიზმები მაღალი და დაბალი პროდუქტიულობის მქონე თანამშრომლებისთვის;
43. ჩამოაყალიბეთ და რეგულარულად განახორციელეთ ახალი პერსონალის ორიენტაციისა და ინტეგრაციის პროცედურები;

44. გადახედეთ როლების, პასუხისმგებლობებისა და კვალიფიკაციის მოთხოვნებს დაწესებულების ფარგლებში არსებული ყველა პოზიციისთვის, უმაღლესი მენეჯმენტიდან დამხმარე პერსონალის ჩათვლით; უზრუნველყავით პერსონალის ყველა წევრის შესაბამისობა დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;
45. გაითვალისწინეთ ინგლისური ენის ცოდნის დონე პერსონალის (როგორც ადმინისტრაციულის, ისე აკადემიურის) აყვანის პროცესში; ხოლო უკვე არსებულ აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა უნდა აიმაღლოს ინგლისური ენის ცოდნის დონე.
46. განახორციელეთ ადეკვატური რაოდენობის სამუშაო ძალის მოზიდვის, განაწილებისა და შენარჩუნების სტრატეგია, სტრუქტურული ერთეულების რეალურ დატვირთვასთან კავშირში;
47. შეიმუშავეთ სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია არა - A ტიპის ხელშეკრულებით მოწვეული პერსონალისთვის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩათვლით, და განსაზღვრეთ შესაბამისი სამუშაო დატვირთვის ზღვარი.
48. შეიმუშავეთ მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგია მიზნების შესანარჩუნებლად პერსონალის თანაფარდობისა და რაოდენობის განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების თვალსაზრისით;
49. დააწესეთ პერსონალის ეფექტურობისა და პროგრესის ობიექტური კრიტერიუმები;
50. უზრუნველყავით ადაპტირებული გარემო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის, რათა მათ შეუფერხებლად ისარგებლონ ყველა სივრცითა და სერვისით;
51. გადაამოწმეთ, რომ სტუდენტთა გამოკითხვები ასახავს დაწესებულებაში სწავლების ყველა საფეხურის სპეციფიკას;
52. დანერგეთ უკუკავშირის მექანიზმი სტუდენტის მიერ მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით კმაყოფილების შესაფასებლად;
53. შექმენით საერთაშორისო მობილობის პროგრამები, როგორც სემესტრული გაცვლითი პროგრამების, ასევე მოკლევადიანი საერთაშორისო პროექტების განხორციელების თვალსაზრისით;
54. დაამატეთ სტატისტიკური მეთოდების სწავლება სადოქტორო პროგრამაში;
55. მკვეთრად განსაზღვრეთ დაწესებულების ძირითადი კვლევითი პრიორიტეტები;
56. გადახედეთ დაშვების პოლიტიკას და პროცედურებს ისე, რომ დოქტორანტურაში მიღება კონკურსის წესით ხდებოდეს;
57. გააძლიერეთ სამეცნიერო კვლევითი და უწყვეტი განათლების ცენტრის ჩართულობა კვლევითი პროექტების მომზადებაში, წარდგენასა და განხორციელებაში;
58. გაზარდეთ ინსტიტუციური ძალისხმევა დოქტორანტების კვლევის შედეგების მაღალი სამეცნიერო გავლენის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციის მიზნით;
59. უნივერსიტეტში დააფუძნეთ კვლევითი ლაბორატორიები;
60. გადახედეთ კვლევის შედეგების ინსტიტუციურ კატალოგს, რათა დაალაგოთ ისინი პუბლიკაციის ტიპისა და გამოცემაში ჩართული პერსონალის კატეგორიის მიხედვით.
61. გაზარდეთ კვლევის ჩასატარებლად არსებული ფინანსური მხარდაჭერა;
62. დაამყარეთ ახალი თანამშრომლობა საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან;
63. დეტალურად გააანალიზეთ კვლევის შეფასების მონაცემები, რათა ეფექტურად დაგეგმოთ ხარვეზების აღმოფხვრის ზომები;
64. აღჭურვეთ თითოეული სართული ხელმისაწვდომი პირველადი დახმარების ყუთებით და უზრუნველყავით გადამზადებული სამედიცინო პროფესიონალის ყოფნა სამუშაო საათების განმავლობაში;
65. მოდიფიცირება გაუკეთეთ საპირფარეშოებს პერსონალის, სტუდენტებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის მოსარგებად, დაიცავით პირადი სივრცე და უზრუნველყავით ხელმისაწვდომობა;
66. გამოყავით სადგომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, რათა გაადვილდეს მათი წვდომა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე;

67. უზრუნველყავით, რომ ყველა ცეცხლმაქრი იყოს განახლებული, მათ უშუალო სიახლოვეს კი გამოკრული იყოს მკაფიო ინსტრუქციები გამოყენების შესახებ;
68. დაამონტაჟეთ ლიფტი შეზღუდული მობილურობის მქონე პირთათვის შენობის ზედა სართულებზე მისაწვდომად;
69. აღჭურვეთ ყველა აუდიტორია და ლაბორატორია ცენტრალური გათბობისა და კონდიცირების სისტემებით კომფორტული სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად.
70. დაამონტაჟეთ ცენტრალური სავენტილაციო სისტემა ყველა კლინიკაში, მათ შორის "სდასუ ქართულ-ინგლისურ კლინიკაში", რათა უზრუნველყოფილ იქნას ჰაერის ხარისხი და ჯანმრთელობის რეგულაციებთან შესაბამისობა;
71. აღჭურვეთ ყველა საკლასო ოთახი და ლაბორატორია პროექტორებით;
72. დააარსეთ სტომატოლოგიური სიმულაციის ლაბორატორია სტომატოლოგიის პრეკლინიკური სწავლებისთვის
73. განაახლეთ უნივერსიტეტის ვებგვერდი ისე, რომ ის უფრო მოსახერხებელი იყოს მომხმარებლისთვის და უზრუნველყავით, რომ ყველა საგანმანათლებლო პროგრამა და წინაპირობები მკაფიოდ იყოს ჩამოთვლილი და ადვილად ხელმისაწვდომი;
74. რეგულარულად განაახლეთ ვებგვერდი უახლესი ინფორმაციით უნივერსიტეტის სამოქმდო გეგმების თვალსაზრისით;
75. დანერგეთ უფრო გამჭვირვალე შტრიხკოდის სისტემა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ხარჯების შესახებ, რაც გააუმჯობესებს ანგარიშვალდებულებას;
76. დააწესეთ სპეციალური გრანტები ინოვაციური კვლევითი პროექტებისთვის და უზრუნველყავით ფინანსური წახალისება მაღალი გავლენის მქონე კვლევითი შედეგებისთვის.

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2024 წლის 13 სექტემბერს 18:50 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
თავმჯდომარის მოადგილე
ორჯონიკიძე ზურაბ